

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი მედიცინის ფაკულტეტი

ლანა გაწერელია

მწვავე HCV ინფექცია, ვირუსის კინეტიკა, იმუნური პასუხი და
დაავადების გამოსავალი როგორც მონო, ასევე HIV/HCV
კო-ინფექციით პაციენტებში საქართველოში

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

თენგიზ ცერცვაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის
ფაკულტეტის ინფექციური დაავადებების და
კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტის
სრული პროფესორი

ლალი შარვაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის
ფაკულტეტის ინფექციური დაავადებების და
კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2016

სარჩევი

თემის აქტუალობა	4
მიზანი.....	6
ამოცანები.....	6
სამეცნიერო სიახლე და პრაქტიკული ღირებულება.....	7
ნაშრომის აპრობაცია.....	8
საერთაშორისო კონფერენციები/პრეზენტაციები:.....	9
ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.....	9
ლიტერატურის მიმოხილვა.....	10
დაავადების დეფინიცია და კლასიფიკაცია.....	10
C ჰეპატიტის ეპიდემიოლოგია.....	10
C ჰეპატიტის ეტიოლოგია.....	15
HCV გენოტიპები.....	18
HCV გადაცემის გზები.....	23
HCV-ს ინფექციის დიაგნოსტიკა.....	27
დაავადების სიმძიმის შეფასება.....	29
C ჰეპატიტის მკურნალობა საქართველოში.....	40
კვლევის ობიექტი და მეთოდები.....	41
კვლევა 1:.....	41
კვლევის დიზაინი და კვლევაში ჩართულ პირთა მახასიათებლები:.....	41
კვლევა 2:.....	43
კვლევის დიზაინი და კვლევაში ჩართულ პირთა მახასიათებლები:.....	43
კვლევა 3:.....	45
კვლევის დიზაინი და კვლევაში ჩართულ პირთა მახასიათებლები:.....	45
კვლევა 4:.....	47
კვლევის დიზაინი და კვლევაში ჩართულ პირთა მახასიათებლები:.....	47
კვლევებში გამოყენებული ლაბორატორიული მეთოდები.....	50
ლაბორატორიული კვლევის მოლეკულური მეთოდები.....	52
ვირუსული რნმ-ის ექსტრაქცია:.....	52
HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა რეალური დროის პჯრ მეთოდით.....	54
HCV გენოტიპირება და სუბტიპირება.....	58
IP-10 განსაზღვრა.....	64
ბიოქიმიური გამოკვლევები.....	65
დვიდლის ელასტოგრაფია.....	66

ხარისხის კონტროლი.....	67
სტატისტიკური ანალიზი	67
ეთიკური კომისიის ნებართვა.....	67
შედეგები.....	68
კვლევა 1 შედეგები:.....	68
კვლევა 2 შედეგები:.....	73
კვლევა 3 შედეგები:.....	74
კვლევა 4 შედეგები:.....	76
კვლევის შედეგების განხილვა.....	80
კვლევა 1.....	80
კვლევა 2.....	84
კვლევა 3.....	86
კვლევა 4.....	86
დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები:.....	88
დასკვნები:.....	88
კვლევა 1.....	88
კვლევა 2.....	88
კვლევა 3.....	89
კვლევა 4.....	89
რეკომენდაციები:.....	90
ლიტერატურა	91
დანართი 1. ინგლისური რეზიუმე.....	104

შესავალი

თემის აქტუალობა

მედიცინის და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების მიუხედავად, XXI-ე საუკუნეში, C ჰეპატიტი ჯანდაცვის ერთ-ერთ უმწვავეს გლობალურ პრობლემას წარმოადგენს. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მისი აქტუალობა დღითიდღე იზრდება. დაავადებას წამყვანი ადგილი უჭირავს ავადობის, სიკვდილობის, ჰოსპიტალიზაციის და შრომის უუნარობის მაჩვენებლების მიხედვით (Alter, 1997a, 1997b, 2006; HIN, 2002c; Kim, 2002).

მსოფლიოში C ჰეპატიტის ვირუსით (HCV) ინფიცირებულთა რიცხვი განუხრელად იზრდება და 170 მილიონს აღემატება. ეს პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით 3%-ია (Alter, 2006; HIN, 2002a; Lauer & Walker, 2001; Lavanchy, 2009).

საქართველო C ჰეპატიტის გავრცელების მიხედვით მაღალი პრევალენტობის ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება (Kuniholm et al., 2008; Stvilia et al., 2006). ქვეყანაში ჩატარებული უახლესი ეპიდემიოლოგიური კვლევის მონაცემებით, მოსახლეობის 7,1% C ჰეპატიტის ვირუსითაა ინფიცირებული.

C ჰეპატიტი, სხვა ვირუსული ჰეპატიტებისაგან განსხვავებით მაღალი ქრონიკული პოტენციალით (70-80%) ხასიათდება (Hajarizadeh, Grebely, & Dore, 2013). მისი მიმდინარეობისას ვითარდება ღვიძლის ანთებითი დაზიანება. დაავადების ქრონიკული მიმდინარეობა ხშირად არის მიზეზი ისეთი მძიმე გამოვლინებების, როგორცაა ღვიძლის ფიბროზი, ციროზი, ჰეპატოცელულარული კარცინომა და შედეგად ღვიძლის უკმარისობა (Daniele, Bencivenga, Megna, & Tinessa, 2004; Davila, Morgan, Shaib, McGlynn, & El-Serag, 2004; HIN, 2002a, 2002b; Hoofnagle, 2004; Mandell, 2005).

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით ყოველწლიურად აღირიცხება C ჰეპატიტით ინფიცირების 3-4 მილიონი ახალი შემთხვევა, ხოლო C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირების ფონზე განვითარებული ღვიძლის ქრონიკული დაავადებებით ყოველწლიურად 350 000-ზე მეტი ადამიანი იღუპება (WHO, 2013).

აღნიშნული პრობლემის გამო მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად დაახლოებით 10 000 ადამიანს უტარდება ღვიძლის ტრანსპლანტაცია (Kim, 2002; D. Moradpour, 2004)

C ჰეპატიტის პრობლემის აქტუალობას საქართველოში და ზოგადად მსოფლიოში დამატებით განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: არ არსებობს C ჰეპატიტის საპროფილაქტიკო ვაქცინა და სპეციფიკური იმუნოგლობულინი. დაავადებასთან ბრძოლა ხდება მაღალი ღირებულების მქონე ანტივირუსული პრეპარატების საშუალებით. ანტივირუსული პრეპარატების მრავალრიცხოვნების მიუხედავად, მკურნალობისას ხშირად გვხვდება გვერდითი ეფექტები და ზოგ შემთხვევებში უკუჩვენებები. მაღალი ღირებულების გამო, მრავალი ქვეყნის მოსახლეობისათვის, ანტივირუსული მკურნალობა ნაკლებად ხელმისაწვდომია.

რაც შეეხება საქართველოში HCV ინფექციის ინსიდენტობას, ყოველწლიურად იმატებს ახალი შემთხვევების რიცხვი. 2014 წელში 2647 ახალი შემთხვევა გამოვლინდა (IDFI,2015), რაც 100 000 მოსახლეზე გადაანგარიშებით შეადგენს 4.45 შემთხვევას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ C ჰეპატიტი არის არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა. განსაკუთრებით, ისეთი დაბალი ეკონომიკური შესაძლებლობების ქვეყნისათვის როგორც საქართველოა.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით დიდი პროგრესია მიღწეული მკურნალობის საკითხებში. ქრონიკული HCV ინფექცია გახდა პირველი და ჯერ-ჯერობით ერთადერთი ყველა სხვა ქრონიკულ ინფექციათა შორის, რომელიც გახდა განკურნებადი.

ქრონიკული C ჰეპატიტის მართვა მეტად მნიშვნელოვანია. დღესდღეობით კარგად არის შესწავლილი ქრონიკული C ჰეპატიტის მიმდინარეობა, საერთაშორისო თუ ეროვნულ გაიდლაინებში შემუშავებულია ანტივირუსული მკურნალობის მრავალი კომბინაცია, რომლებიც მორგებულია ვირუსის გენოტიპზე, ღვიძლის დაზიანების ხარისხზე, მასპინძელის გენეტიკურ მახასიათებლებზე და მრავალ ფაქტორზე, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ დაავადების გამოსავალთან.

მწვავე C ჰეპატიტი, ქრონიკულისაგან განსხვავებით არ ხვდება ყურადღების ქვეშ და ამიტომ ნაკლებად არის შესწავლილი. მწვავე HCV ინფექციასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, რომლებიც ამჟამად აქტუალურია, ბოლომდე გარკვეული არ არის და ჯერ კიდევ კვლევის პროცესშია. მწვავე C ჰეპატიტზე დაკვირვება და შესწავლა ძნელია შემდეგი გარემოებების გამო: უმეტეს შემთხვევებში მიმდინარეობს უსიმპტომოდ და სეროკონვერსია (C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების წარმოქმნა) შესაძლებელია 6 თვემდე არ მოხდეს

და შესაბამისად, C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ანტისხეულებზე სეროლოგიური ტესტირებისას არ გამოვლინდეს.

არსებობს სხვადასხვა მიდგომა და აზრი, მკურნალობის დაწყება არ დაწყების გადაწყვეტილების მიღების შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ ნაკლებად არის შესწავლილი C ჰეპატიტის ვირუსის ბუნებრივი მიმდინარეობა მისი ორგანიზმში მოხვედრის პირველი დღეებიდან სეროკონვერსიამდე, ვირუსის რეპლიკაციის კინეტიკა და მისი როლი, ვირუსის კონცენტრაციის კავშირი განკურნებასთან, ვირუსისა და მასპინძლის გენეტიკური ფაქტორები და მათი დამოკიდებულება დაავადების გამოსავალზე. ამიტომ, გაჩნდა აზრი, რომ პრაქტიკული ღირებულების მქონე იქნებოდა მომხდარიყო მწვავე C ჰეპატიტის სულ ახალი შემთხვევების გამოვლენა და მათი ინფიცირების პირველივე დღეებიდან შესწავლა როგორც მონონინფიცირებულ, ასევე HIV/HCV კო-ინფექციით პაციენტებში.

მიზანი

კვლევის მიზანია, HCV მონო და HIV/HCV კო-ინფექციით პაციენტებში მწვავე C ჰეპატიტის ბუნებრივ მიმდინარეობაზე ინფიცირების პირველივე დღეებიდან დაკვირვება. ვირუსისა და მასპინძლის ფაქტორების შესწავლა და მიღებული შედეგების დაავადების გამოსავალთან დაკავშირებით, ანტივირუსული მკურნალობის დაწყების საჭიროების კრიტერიუმების შემუშავება.

ამოცანები

მწვავე HCV ინფექციის შემთხვევების გამოვლენა და მისი ბუნებრივი მიმდინარეობის შესწავლა ინფიცირების პირველივე დღეებიდან, ჯერ კიდევ სეროკონვერსიამდე.

HCV მონო და HIV/HCV კო-ინფექციით პაციენტებში მწვავე HCV ინფექციის გამოსავალის კავშირის დადგენა:

- სქესთან
- ასაკთან
- დაავადების კლინიკურ მიმდინარეობასთან(კლინიკური ფორმა)
- ვირუსის რეპლიკაციის კინეტიკასთან

- ვირუსის კონცენტრაციასთან
- ვირუსის გენოტიპთან
- მასპინძლის იმუნურ პასუხთან
- მასპინძლის გენეტიკურ ფაქტორთან (IL28B)
- ღვიძლის ფიბროზის ხარისხთან
- მასპინძლის სეროლოგიურ მარკერებთან (ALT, IP-10)

სამეცნიერო სიახლე და პრაქტიკული ღირებულება

საქართველოში პირველად გამოვავლინეთ მწვავე C ჰეპატიტის შემთხვევები და შევისწავლეთ მისი ბუნებრივი მიმდინარეობა როგორც მონო ასევე HIV/HCV კო-ინფიცირებულ პაციენტებში C ჰეპატიტით ინფიცირების პირველი დღეებიდან ჯერ კიდევ სეროკონვერსიამდე.

ნაშრომში აღვწერეთ მწვავე/ახალი HCV ინფექციის შესაძლო სხვადასხვა კლინიკურ-ლაბორატორიული ვარიანტი.

ნაშრომში წარმოვადგინეთ HCV ინფექციისაგან სპონტანურ გამოჯანმრთელებაში მდებრობითი სქესის, ახალგაზრდა ასაკის, დაავადების მწვავედ მიმდინარეობის პროგნოზული ღირებულება.

შევისწავლეთ ვირუსის კინეტიკასა და იმუნურ პასუხს შორის კორელაცია და დავადგინეთ მისი კავშირი დაავადების გამოსავალთან.

დავადგინეთ მწვავე C ჰეპატიტის სპონტანურ გამოჯანმრთელებაში მასპინძლის სეროლოგიური მარკერის, IP-10-ის პროგნოზული ღირებულება როგორც მონო, ასევე HIV/HCV კოინფექციით პაციენტებში.

შევისწავლეთ და დავადგინეთ, რომ ვირუსის გენეტიკური ტიპი არ ახდენს გავლენას მწვავე C ჰეპატიტისაგან თვითგანკურნებისას.

მაღალი რისკის ქცევის HIV/HCV კოინფექციით პაციენტებში გამოვავლინეთ ოკულტური C ჰეპატიტის რამოდენიმე შემთხვევა.

შევიმუშავეთ რეკომენდაციები უსაფრთხო სისხლის და სისხლის კომპონენტების სავალდებულო კვლევების ალგორითმის დასახვეწად, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვანია როგორც უსაფრთხოების ასევე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კუთხით.

სისტემაში მოვიყვანეთ საქართველოში მწვავე C ჰეპატიტისას ანტივირუსული მეურნეობის დაწყების კრიტერიუმები როგორც მონო, ასევე HIV/HCV კონინფექციით პაციენტებში.

ნაშრომის აპრობაცია

გამოქვეყნებული შრომები:

Prevailing HCV genotypes and subtypes among hiv infected patients in Georgia.

Karchava M, Sharvadze L, **Gatserelia L**, Badridze N, Tsertsvadze T.

Georgian Med News. 2009 Dec;(177):51-5.

IL28B favorable genotype and ultrarapid viral response as the earliest treatment predictors of a sustained viral response in a Georgian cohort infected with the hepatitis C genotype 1.

Karchava M, Sharvadze L, Chkhartishvili N, Nelson K, Gochitashvili N, **Gatserelia L**, Dvali N, Dolmazashvili E, Dzigua L, Badridze N, Zhamutashvili M, Tsertsvadze T.

Eur J Gastroenterol Hepatol. 2012 Jul;24(7):817-23. doi: 10.1097/MEG.0b013e328353fd11.

Occurrence of occult HCV infection among Hiv infected patients in Georgia.

Gatserelia L, Sharvadze L, Karchava M, Dolmazashvili E, Tsertsvadze T.

Georgian Med News. 2014 Jan;(226):37-41.

Discrepancy between HCV structural and non structural genes in Georgian genotype two patients.

Tsertsvadze T, Karchava M, Sharvadze L, **Gatserelia L**, Dolmazashvili E.

Georgian Med News. 2014 Oct;(235):74-8.

High incidence of the hepatitis C virus recombinant 2k/1b in Georgia: Recommendations for testing and treatment.

Karchava M, Waldenström J, Parker M, Hallack R, Sharvadze L, **Gatserelia L**,

Chkhartishvili N, Dvali N, Dzigua L, Dolmazashvili E, Norder H, Tsertsvadze T.

Hepatol Res. 2015 Feb 16. doi: 10.1111/hepr.12505

The natural history of recent hepatitis C virus infection among blood donors and injection drug users in the country of Georgia.

Tsertsvadze T, Sharvadze L, Chkhartishvili N, Dzigua L, Karchava M, **Gatsereia L**, Abutidze A, Nelson KE.

Virol J. 2016 Feb 3;13(1):22. doi: 10.1186/s12985-016-0478-6.

საერთაშორისო კონფერენციები/პრეზენტაციები:

პოსტერ-პრეზენტაცია – Detection of acute HCV infection among different risk groups. **Gatsereia L.**, Sharvadze L., Karchava M., Badridze N., Tsertsvadze T. 14th International Congress on Infectious Diseases. March 9-12, 2010 Miami, Florida, USA

პოსტერ-პრეზენტაცია – Acute HCV Infection. **Gatsereia L.**, Sharvadze L., Karchava M., Badridze N., Tsertsvadze T. The 21th Conference of the The Asian Pacific Association for the Study of the Liver [APASL] 17 – 20 February 2011, Bangkok, Thailand

პოსტერ-პრეზენტაცია – Occurrence of occult HCV among HIV infected patients in Georgia. **Gatsereia L.**, Sharvadze L., Karchava M., Badridze N., Tsertsvadze T. 20th Anniversary NYS-ITRP Alumni Reunion. June 20-21 2013 Kiev, Ukraine

პოსტერ-პრეზენტაცია – Acute HCV infection among HIV infected individuals and disease outcome in the country of Georgia. **Lana Gatsereia**, Kakabadze T., Karchava M., Dvali N., Dzigua L., Abutidze A., Sharvadze L. U.S. – Georgia Partnership in Science. June 16-18, 2014, Tbilisi, Georgia.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომში წარმოდგენილია: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, საკუთარი გამოკვლევის შედეგები, მიღებული შედეგების ანალიზი, დასკვნები, პრაქტიკული რეკომენდაციები. გამოყენებული ლიტერატურის სია, რომელიც მოიცავს 163 წყაროს. შედეგები ასახულია 18 დიაგრამასა და 7 ცხრილში, ნაშრომი ილუსტრირებულია 23 ფოტოთი.

ლიტერატურის მიმოხილვა

დაავადების დეფინიცია და კლასიფიკაცია

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის დაავადებათა კლასიფიკაციისა და კოდირების სისტემის მიხედვით (Disease classification and coding systems DIMDI-ICD-10-WHO-2007) C ჰეპატიტი განეკუთვნება დაავადებათა ჯგუფს – ვირუსული ჰეპატიტები.

ამავე კლასიფიკაციით გამოყოფენ დაავადების ორ ფორმას:

1. მწვავე C ჰეპატიტის – კოდი B17.1
2. ქრონიკული C ჰეპატიტის – კოდი B18.2


C ჰეპატიტი ინფექციური დაავადებაა, რომელსაც იწვევს ჰეპატოტროპული რნმ ვირუსი, C ჰეპატიტის ვირუსი (HCV). HCV არის პირველი ვირუსი, რომელიც გამოყოფილი იქნა მოლეკულური კლონირების პროცესის შედეგად (კულტურის გარეშე) ამერიკაში, 1989 წ-ს (Alter, 2006; HIN, 2002b; Purcell, 1994; Rehermann et al., 1996; Sherlock S, 1997; Takeuchi et al., 1990).

C ჰეპატიტის ეპიდემიოლოგია

C ჰეპატიტი მსოფლიო ჯანდაცვის მნიშვნელოვანი გლობალური პრობლემაა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, პლანეტის მოსახლეობის 3% C ჰეპატიტის ვირუსითაა ინფიცირებული და ეს რიცხვი ყოველ წელს მკვეთრად მატულობს. C ჰეპატიტით გამოწვეული ღვიძლის ტერმინალური დაავადებებით, მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 350 000 ადამიანი კვდება (Kim, 2002; Lavanchy, 2009; WHO, 2014b).

C ჰეპატიტი გავრცელებულია მთელს მსოფლიოში, თუმცა სხვადასხვა გეოგრაფიული არეალი თუ ქვეყანა განსხვავდება C ჰეპატიტის პრევალენტობით და ვირუსის გენეტიკური ტიპების პროცენტული გადანაწილებით.

(დიაგრამა №1) C ჰეპატიტის პრევალენტობა სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით.






წყარო: C ჰეპატიტის მართვა(გაიდლაინი) 2006 წ.

C ჰეპატიტის ყველაზე მაღალი პრევალენტობა ფიქსირდება აზიასა და აფრიკაში (Shepard, Finelli, & Alter, 2005). ეგვიპტეში C ჰეპატიტის პრევალენტობა 15-20% და ძირითადად გამოწვეულია პარენტერალური ანტიმისტოსომიური თერაპიით (Frank et al., 2000). შედარებით დაბალი პრევალენტობა 1-2% ფიქსირდება ამერიკაში, ავსტრალიაში, იაპონიაში და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში. რუსეთში 1.3% (Ogarkov, Malyshev, Tokmakov, & Smirnov, 2004), სამხრეთ ევროპაში C ჰეპატიტის პრევალენტობა ცოტა უფრო მაღალია და შეადგენს 2,5-3,5%-ს. ჩრდილოეთ ევროპაში ნაკლებია 1%-ზე, ყველაზე დაბალია ინგლისსა და სკანდინავიაში (Alter, 2007; Alter et al., 1999; Armstrong et al., 2006).

საქართველო მიეკუთვნება C ჰეპატიტის მაღალი პრევალენტობის ქვეყნების ჯგუფს. 2001-2004 წლებში ქვეყანაში ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევების მონაცემების მიხედვით C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებულია ზრდასრული მოსახლეობის 6,7 % ($\approx 150\ 000$) (Stvilia, et al., 2006).

(დიაგრამა №2) HCV-ს პრევალენტობა საქართველოს ზოგად მოსახლეობაში
(ჯვარედინ-სელექციური კვლევა, 2001-2004 წწ).




 - ზოგადი მოსახლეობა
 - HCV ინფექციით ავადმყოფები

წყარო: C ჰეპატიტის მართვა(გაიდლაინი) 2006 წ.

2014 წელს წინა წელთან შედარებით, საქართველოში C ჰეპატიტის ინციდენტობა 56%-ით გაიზარდა. C ჰეპატიტის ახალი შემთხვევებიდან 6.8% მწვავე შემთხვევებზე, ხოლო 93.4% - ახლად გამოვლენილ ქრონიკულ შემთხვევებზე მოდიოდა.


ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით C ჰეპატიტის ავადობის მაქსიმალური მაჩვენებელი 30-59 წლის მოსახლეობაში აღინიშნებოდა.

(დიაგრამა №3) მწვავე და ქრონიკული C ჰეპატიტის ინციდენტობა რეგიონების მიხედვით.



წყარო: (NCDC “Epidemiology Bulletin”2013/Vol.17).

(დიაგრამა №4) ქრონიკული C ჰეპატიტის ინციდენტობის ასაკობრივი გადანაწილება.




წყარო: (NCDC “Epidemiology Bulletin”2013/Vol.17).

CDC/აშშ-ს მხარდაჭერით, 2015 წელს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული კონტროლის ცენტრის (NCDC)-ის მიერ განხორციელდა ახალი, მაშტაბური პოპულაციური კვლევა – „B და C ჰეპატიტის სეროპრევალენტობის კვლევა საქართველოში“. ამ კვლევის წინასწარი მონაცემების თანახმად, C ჰეპატიტის პრევალენტობა ზოგად მოსახლეობაში 7,1 %-ია.

რისკ ჯგუფებში C ჰეპატიტის გავრცელება ბევრად მაღალია: სისხლის დონორებში – 2,5%, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებით ავადმყოფებში – 10,3%, ტუბერკულოზით ავადმყოფებში – 12%, ხოლო ნარკოტიკების ინექციის გზით მომხმარებლებში 68%-ია (Badridze, Chkhartishvili, Abutidze, Gatsrelia, & Sharvadze, 2008; Richards et al., 2006; Stvilia K, 2005; Stvilia, et al., 2006).

(დიაგრამა №5) HCV პრევალენტობა რისკჯგუფებში.



წყარო: C ჰეპატიტის მართვა (გაიდლაინი) 2006 წ.

C ჰეპატიტის ეტიოლოგია

HCV მიეკუთვნება Hepacivirus-ების გვარს და Flaviviridae-ს ოჯახს. ვირუსი არის მცირე ზომის, მისი დიამეტრია 30-50 ნმ. ვირუსი შეიცავს დაახლოებით 9 600 ნუკლეოტიდისაგან შემდგარ დადებითი პოლარობის რნმ-ის ერთმაგ ჯაჭვს და გარსს, რომლის შემადგენლობაში შედის გლიკოპროტეინები (Houghton M, 1996; Lemon SM, 1995; Purcell RH, 1994).

რნმ დაფარულია ლიპიდური სუპერკაფსიდით. HCV-ს გენომში კოდირებულია სტრუქტურული და არასტრუქტურული ცილები. სტრუქტურულ ცილებს მიეკუთვნება C (core) პროტეინი და ორი გარსის გლიკოპროტეინი E1 და E2 (envelope protein). ეს ცილები მონაწილეობენ ვირუსის სტრუქტურის შენებაში. ვირუსის არასტრუქტურული ცილები: NS1, NS2, NS3, NS4A, NS4B, NS5A და NS5B ძირითადად წარმოდგენილია სხვადასხვა ფერმენტებით, რომლებიც მონაწილეობენ ვირუსის რეპლიკაციაში. ეს ფერმენტებია: მეტალოპროტეაზა, სერინპროტეაზა, რნმ ჰელიკაზა, რნმ დამოკიდებული რნმ პოლიმერაზა და სხვ (სურ. № 4).

ვირუსის შემადგენელი ცილები, მისი გენომის გასწვრივ შემდგენიარადაა განაწილებული:

C (core) პროტეინი – შედგება 191 ამინომჟავისაგან და იყოფა სამ დომენად. დომენი 1 (1-117) შედგება ორი ძირითადი ჰიდროფობული რეგიონისაგან. დომენი 2 (118-174) უფრო ჰიდროფობულია და მისი დაბოლოება მდებარეობს p21-ზე. დომენი 3 (175-191) ყველაზე მეტად ჰიდროფობულია და მონაწილეობს როგორც სიგნალი გარსის E1 პროტეინის ნუკლეოტიდური თანმიმდევრობის სინთეზში (De Francesco, 1999).

გარსის ცილები (E1;E2) – მეტად გლიკოზილატირებულია და უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს უჯრედში შეღწევადობაში. E1 შეღწევადობაზე პასუხისმგებელი სუბერთეულია, ხოლო E2 მოქმედებს, როგორც რეცეპტორ დამაკავშირებელი (Fraser, Boo, Pountourios, & Drummer, 2011).

P7 პროტეინი – მართალია არ მონაწილეობს ვირუსის გენომის რეპლიკაციაში, მაგრამ გადამწყვეტ როლს თამაშობს ვირუსის მორფოგენეზში. P7 არის 63 ამინომჟავისაგან შემდგარი მემბრანადამაკავშირებელი პროტეინი, რომელიც მდებარეობს ენდოპლაზმურ ბადეში. P7 პროტეინის გაფართოების პროვოცირებას ახდენენ ენდოპლაზმურ ბადის სასიგნალო ენზიმები. P7-ის ორი ტრანსმემბრანული

დომეინი, ენდოპლაზმური რეტიკულუმის სანათურის მიმართულებით, ციტოპლაზმური რკალით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული (Steinmann et al., 2007).

NS2 პროტეინი – 21-23 კილოდალტონია (kDa). ის ტრანსმემბრანული ცილაა და ხასიათდება პროტეაზული აქტივობით (Popescu et al., 2011).

NS3 პროტეინი – 67 kDa ზომის მულტიფუნქციური ენზიმია, მისი N-ტერმინალი ხასიათდება სერინ-პროტეაზა აქტივობით, ხოლო C-ტერმინალი კი, ნტპ-აზა/ჰელიკაზა აქტივობით. ის მდებარეობს ენდოპლაზმურ რეტიკულუმში და ქმნის ჰეტეროდიმეტრიულ კომპლექსს NS4A-სთან.

NS4A პროტეინი – 54 ამინომჟავისაგან შემდგარი მემბრანული პროტეინია, რომელიც არის პროტეინაზას კო-ფაქტორი (Locatelli, Gosselin, Spadari, & Maga, 2001).

NS4B პროტეინი – მცირე, 7 kDa ზომის ჰიდროფობული, ინტეგრალურ მემბრანული ცილა, ოთხი ტრანსმემბრანული დომეინით. მდებარეობს ენდოპლაზმურ რეტიკულუმში და მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვა ვირუსული ცილების შერჩევაში. ენდოპლაზმურ რეტიკულუმში ის აინდუცირებს მორფოლოგიურ ცვლილებებს და წარმოიქმნის მემბრანულ ქსოვილს (De Francesco, 1999).

NS5A პროტეინი – ჰიდროფილური ფოსფოპროტეინია, რომელიც ახდენს უჯრედული ფიზიოლოგიის მოდულაციას HCV ინფიცირებულ უჯრედებში. უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ვირუსული რნმ-ის რეპლიკაციაში და ინტერფერონისმიმართ პასუხში (Gupta, Qin, & Song, 2012).

NS5B პროტეინი – 65 kDa ზომის, ვირუსული რნმ დამოკიდებული რნმ პოლიმერაზაა. NS5-ს ძირითადი ფუნქციაა HCV რნმ-ის რეპლიკაცია, რაშიც იყენებს ვირუსის დადებით რნმ ჯაჭვს, როგორც ყალიბს და რნმ-ის რეპლიკაციისას ახდენს რიბონუკლეოზიდ ტრიპოსფატის (rNTP) პოლიმერიზაციის კატალიზებას (Jin, Leveque, Ma, Johnson, & Klumpp, 2012; D. Moradpour, Penin, & Rice, 2007; Rigat et al., 2010).


ანტიგენური ცვალებადობის თვალსაზრისით სტრუქტურული ცილებიდან განსაკუთრებით კონსერვატიულია C-core პროტეინი, ხოლო არასტრუქტურულ რეგიონში NS5-პროტეინი (რნმ დამოკიდებული რნმ პოლიმერაზა). გარსის ცილები E1, E2 კი განსაკუთრებით ვარიაბელურია (HIN, 2002b; Lemon SM, 1995; Purcell RH, 1994; Selby et al., 1999; Sherlok S, 1997).

ვირუსის როგორც სრუქტურული ასევე არასტრუქტურული ცილების მიმართ გამომუშავდება ანტისხეულები, რომლებიც სისხლში ცირკულირებენ (სერო-

კონვერსია). Anti-HCV ანტისხეულები ვირუსმანიტრალელებელი თვისებით არ ხასიათდება.

სურათზე წარმოდგენილია C ჰეპატიტის ვირუსის მოდელი, HCV გენომში კოდირებული სტრუქტურული და არასტრუქტურული ცილები შესაბამისი ფუნქციების მინიშნებით.

(სურ.№1) C ჰეპატიტის ვირუსი.




წყარო: C ჰეპატიტის მართვა(გაიდლაინი) 2006 წ.

HCV გენოტიპები

C ჰეპატიტის ვირუსის მნიშვნელოვანი თავისებურებაა მისი გენეტიკური არაერთგვაროვნება. ვირუსის გენომი, სექვენირების ფილოგენეტიკური ანალიზის მიხედვით კლასიფიცირდება გენოტიპის 6 ძირითად ჯგუფად ანუ კლასტერად.

(სურ.№2) HCV გენოტიპები.



წყარო: Versant HCV (Lipa) Simens.

მსოფლიოს მასშტაბით 6 გენოტიპი და 50-ზე მეტი სუბტიპი, 100-ზე მეტი იზოლატი და განუსაზღვრელი რაოდენობით კვაზისახეობებია გამოვლენილი (Nolte et al., 2003; Ross et al., 2000; Simmonds, 1999).

HCV ვირუსის სხვადასხვა გენოტიპის ნუკლეოტიდურ თანმიმდევრობებს შორის განსხვავება დაახლოებით 30-50%-ია, სუბტიპებში ეს განსხვავება შეადგენს 15-30%-ს, იზოლატებში 5-15%-ს, ხოლო კვაზისახეობებში 1-5%-ს (Bukh, Miller, & Purcell, 1995; Simmonds et al., 1993).

ცხრილი №1.



HCV გენოტიპები და კვაზისახეობები

Term	Definition	Nucleotide Similarity
Genotype	Heterogeneity among different viruses	50% – 70%
Subtype	Closely related viruses within each genotype	70% – 85%
Quasispecies	Complex of genetic variants within individual viruses	95% – 99%

წყარო: C ჰეპატიტის მართვა(გაიდლაინი) 2006წ.

მსოფლიოს სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალსა თუ ქვეყანაში, სხვადასხვა HCV გენეტიკური ტიპებია გავრცელებული.

(დიაგრამა №6) HCV გენოტიპის გავრცელება მსოფლიოში.




წყარო: US Library of Medicine, National Institute of Health, Los Alamos National laboratory.

1; 2 და 3 გენოტიპები თითქმის მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. 1a და 1b ტიპები ყველაზე ხშირად გვხვდება, მათზე მოდის გლობალური HCV ინფექციის 60%. 1 გენოტიპი დომინირებს ჩრდილოეთ ამერიკაში, ჩრდილოეთ ევროპაში, – სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, იაპონიაში. გენოტიპი 2 ნაკლებად გავრცელებულია ვიდრე ტიპი 1. ტიპი 3 ენდემურია სამხრეთ აღმოსავლეთ აზიისათვის, თუმცა ის მთელს მსოფლიოში გვხვდება. გენოტიპი 4 გვხვდება ცენტრალურ აზიაში, ეგვიპტესა და ცენტრალურ აფრიკაში. გენოტიპი 5 ექსკლუზიურად, მხოლოდ სამხრეთ აფრიკაშია. გენოტიპები 6 ნანახია აზიაში(CDC, 1998; Houghton M, 1996; Mondelli & Silini, 1999; WHO, 1999).

საქართველოში ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევების(Sharvadze, Nelson, Imnadze, Karchava, & Tsertsvadze, 2008; Stvilia, et al., 2006) მონაცემებით HCV გენოტიპების გავრცელება შემდეგია:

(დიაგრამა №7)

HCV გენოტიპების განაწილება საქართველოში



გამოკვლევულ პირთა რაოდენობა ~ 2000

- გენოტიპი 1 – 43%;
- გენოტიპი 2 – 20%;
- გენოტიპი 3 – 36,65%;
- გენოტიპი 4 – 0.35%;

HCV გენეტიკურ ტიპებს რაიმე მნიშვნელოვანი კლინიკური ღირებულება არ გააჩნიათ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია HCV ინფექციის მკურნალობის ხანგრძლივობის და მკურნალობის პროგნოზის განსაზღვრისთვის.

არსებული მონაცემებით, HCV გენოტიპსა და დაავადების ბუნებრივ მიმდინარეობას, მაგ. დაავადების სიმძიმეს შორის კავშირი არ არსებობს. სამაგიეროდ, მჭიდრო კავშირია HCV გენოტიპსა და მკურნალობის ეფექტურობას შორის. მაგ, HCV 1 გენოტიპით ავადმყოფები ცუდად პასუხობენ ინტერფერონთერაპიას (40-50%) და ესაჭიროებათ მკურნალობის ხანგრძლივი კურსი, მაშინ როდესაც HCV 2 და 3 გენოტიპით ავადმყოფებში მკურნალობის ეფექტურობა მნიშვნელოვნად უფრო მაღალია (70-80%) და ეს ავადმყოფები

მკურნალობის გაცილებით ნაკლები ხანგრძლივობის კურსს საჭიროებენ (Hadziyannis et al., 2004; Jaeckel et al., 2001; Shiffman et al., 2004; Zeuzem et al., 2004) ხოლო სტეატოზი, ლიპიდების პათოლოგიური დაგროვება ღვიძლში, რომელიც ასოცირდება ფიბროზთან უფრო ხშირად გვხვდება 3 გენოტიპით ინფიცირებულ პირებში (Rubbia-Brandt et al., 2004; Rubbia-Brandt et al., 2000).

მსოფლიოს მასშტაბით გამოვლენილი HCV-ის 6 ძირითადი გენოტიპის გარდა, არსებობს მონაცემები ორი სხვადასხვა გენოტიპის გენეტიკური მასალის რეკომბინაციის შედეგად წარმოქმნილი ჰიბრიდული ფორმების (RF) შესახებ (Kalinina, Norder, Mukomolov, & Magnius, 2002; Legrand-Abravanel et al., 2007).

არსებობს ლაბორატორიულად დამტკიცებული (გენომის სექვენირება) მონაცემები, რომ საქართველოში არც თუ ისე იშვიათად გვხვდება 2k/1b რეკომბინანტული ფორმები. აღნიშნულს ამყარებს საქართველოში მეორე გენოტიპით ინფიცირებულ პაციენტებში ანტივირუსული მკურნალობის შედეგად მიღებული განკურნების დაბალი მაჩვენებელი (Karchava et al., 2015; Tsertsvadze, Karchava, Sharvadze, Gatsrelia, & Dolmazashvili, 2014), ასევე უცხოეთში, არაგანკურნებულ პაციენტებში ეთნიკურად ქართველების და ზოგადად პოსტ საბჭოთა ქვეყნებიდან მიგრირებული პირების არსებობა (Demetriou, Kyriakou, & Kostrikis, 2011; Raghvani et al., 2012).

HCV გადაცემის გზები

HCV გადაეცემა ვირუსით ინფიცირებული სისხლის ან მისი კომპონენტების გადასხმით, HCV შემცველი დონორების ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციით, ინფიცირებული სისხლით დაბინძურებული შპრიცის და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებით. ვირუსი ასევე გადაეცემა სქესობრივი კონტაქტით და დაავადებული დედიდან ნაყოფზე ორსულობის და მშობიარობის დროს (Alter, 1997b; McCarron, Main, & Thomas, 1998; Stvilia, et al., 2006; Villano, Vlahov, Nelson, Cohn, & Thomas, 1999).

HCV-ს სქესობრივი გზით გადაცემის რისკი დაბალია. ხანგრძლივ, მონოგამურ პარტნიორებს შორის გადაცემის რისკი 2%-ზე ნაკლებია, ხოლო მრავალობითი სქესობრივი პარტნიორის შემთხვევაში, მაღალი რისკის ჰომო ან ჰეტეროსექსუალური კავშირების დროს ვირუსის გადაცემის რისკი 6%-მდე მატულობს (HIN, 2002b; Terrault, 2002).

HCV-ს პერინატალური (ვერტიკალური) გადაცემის რისკი საშუალოდ 5-7%-ია. თუ დედის ორგანიზმში HCV რნმ-ის მაღალი კონცენტრაციაა, მაშინ ნაყოფზე ვირუსის გადაცემის რისკი იზრდება (Mast et al., 2005).

HCV-ს გადაცემის პოტენციური წყაროა პირსინგი და ტატუირება, ინფიცირებული ხელსაწყოების გამოყენებისას (Antoszewski, Sitek, Jedrzejczak, Kasielska, & Kruk-Jeromin, 2006). ასევე, HCV-ს გადაცემის დამატებითი რისკ ფაქტორი შესაძლოა იყოს ინფიცირებული სისხლით დაბინძურებული საყოფაცხოვრებო ნივთები, მაგ.: სამართებელი, კბილის ჯაგრისი და სხვ (Liang, Rehmann, Seeff, & Hoofnagle, 2000).

დაავადება არ გადაეცემა ჰაერ-წვეთოვანი გზით და მწერების და ცხოველების საშუალებით.


HCV ინფექციის პათოგენეზი

C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებისას, ხდება ვირუსის შეჭრა ჰეპატოციტში და მისი რეპლიკაცია (გამრავლება). HCV მიეკუთვნება ჰეპატოტროპულ ვირუსებს, თუმცა ცნობილია ასევე C ჰეპატიტის ვირუსის ლიმფოტროპული ბუნებაც. ჰეპატოციტის გარდა, ვირუსის სამიზნე შეიძლება გახდეს T და B უჯრედები, დენდრიტული უჯრედები, პერიფერიული სისხლის მონონუკლეარული უჯრედები-

მონოციტები (PBMC) (Bain et al., 2001; Laskus, Radkowski, Wang, Nowicki, & Rakela, 2000; Lerat et al., 1998; Navas, Martin, Quiroga, Castillo, & Carreno, 1998; Stamataki et al., 2009).

HCV-ს ჰეპატიციტებში შეჭრის ზუსტი მექანიზმი არ არის შესწავლილი, თუმცა ცნობილია, რომ ვირუსის გარსის ცილები (E1 და E2) ახდენს მასპინძლის უჯრედის (ჰეპატოციტის) ზედაპირზე არსებული სპეციალური რეცეპტორის შებოჭვას. მასპინძლის ჰეპატოციტების და ლიმფოციტების ზედაპირზე ექსპრესირებული რეცეპტორის სტრუქტურები: CD81, დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი (LDL), C-ტიპის ლექტინი (DC – SIGN და L-SIGN), SR-BI, და სხვ. ურთიერთქმედებენ C ჰეპატიტის ვირუსის გარსის ცილებთან (Mandell, 2005; Zeisel, Barth, Schuster, & Baumert, 2009).

(სურ. №3) ვირუსის შეჭრა ჰეპატოციტში.



წყარო: C ჰეპატიტის მართვა(გაიდლაინი) 2006წ.

HCV ვირუსის გარსის ცილების მიერ მასპინძლის უჯრედის სპეციფიური რეცეპტორის სტრუქტურის შებოჭვის შედეგად ხდება ვირუსისა და უჯრედის შერწყმა და შესაბამისად ვირუსის შეჭრა მასპინძლის უჯრედში. ვირუსის გენეტიკური მასალა (რნმ) გამოთავისუფლდება მასპინძლის უჯრედის ციტოპლაზმაში და ასრულებს საინფორმაციო რნმ-ის როლს. ვირუსის რეპლიკაციაში მონაწილე

ფერმენტებია: პროტეაზა, ჰელიკაზა, რნმ პოლიმერაზა და სხვ. (Acton et al., 1996; Bartosch et al., 2003).

როგორც ცნობილია, HBV ინფექციის დროს ხდება ვირუსის ინტეგრირება მასპინძლის გენომში. რაც შეეხება HCV ინფექციას, ვირუსის სასიცოცხლო ციკლში არ ერთვება შუალედური დნმ და შესაბამისად პათოგენი არ ინტეგრირდება მასპინძლის გენომში (Lauer et al., 2005).

B ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსისაგან განსხვავებით, HCV ხასიათდება პირდაპირი ციტოპათიური მოქმედებით, რაც იწვევს ციტოლიზს და შესაბამისად ინფიცირებული ჰეპატოციტების კლირენსს, მაგრამ ვირუსის სუსტი იმუნოგენურობის გამო არ ხდება ჰეპატოციტების სწრაფი სანაცია გამომწვევისგან (Gerlach et al., 2003).

ისევე როგორც ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ), HCV-ც ხასიათდება ვირუსის ანტიგენური სტრუქტურის ჰეტეროგენულობით. C ვირუსი უპირისპირდება იმუნიტეტის ზემოქმედებას, წუთის განმავლობაში მისი ანტიგენური სტრუქტურის სწრაფი, მრავალჯერადი ცვლებით. C ვირუსის ასეთი მულტივარიანტულობის გამო, T და B ლიმფოციტები ვეღარ ახერხებენ ამოიცნონ პერმანენტულად განახლებული ანტიგენები. HCV-ს ამ უნარის გამო(დაუსხლტეს იმუნურ ზედამხედველობას) “immune escape virus” ეწოდება. ერთსა და იმავე ავადმყოფში, HCV-ს მუდმივად ცვალებად ანტიგენურ ვარიანტებს კვაზისახეობები (quasispecies) ეწოდება. ერთ დღე-ღამეში პროდუცირებული კვაზისახეობების რიცხვი აღემატება $10^{10} - 10^{11}$ -ს. ახალი ანტიგენური შტამების წარმოქმნის სისწრაფე, უმეტეს შემთხვევაში აღემატება მანეიტრალბელი ანტისხეულების გამომუშავების სისწრაფეს, შედეგად ფორმირდება პერსისტენტული ინფექცია(Mandell, 2005; Sherlok S, 1997; Walters et al., 2009).

HCV-ს გარსის ანტიგენები – E1, E2/NS1 სეგმენტები ყველაზე მეტად ცვალებადია და ე.წ. ”ჰიპერვარიაბელურ რეგიონებს” წარმოადგენენ. ეს უბნები წარმოადგენენ იმუნური სისტემის ძირითად სამიზნეს(Kato et al., 1993). კვლევები ადასტურებს, რომ HCV-ს პირველი გენოტიპი გამოირჩევა ჰიპერვარიაბელურ რეგიონებზე მუტაციის განვითარების ყველაზე მაღალი სიჩქარით. ზემოაღნიშნული განაპირობებს პირველი გენოტიპის ქრონიზაციის ყველაზე მაღალ სიხშირეს და ინტერფერონოთერაპიისას განკურნების ყველაზე დაბალ პროცენტს.

HCV ინფექციის ქრონიზაციას ხშირ შემთხვევაში განაპირობებს ისეთი პეპტიდების ინდუცირების უნარი, რომლებიც T ლიმფოციტური რეცეპტორების ფუნქციური ანტაგონისტებია და აფერხებენ ჰელპერულ და ციტოტოქსიურ აქტივობას. ასევე შესწავლილია, რომ არაციტოპატიური ვირუსული ჰეპატიტებით (HBV, HCV) ღვიძლის დაზიანებას T უჯრედული პასუხი განაპირობებს. ვირუსული ეტიოლოგიის ღვიძლის დაზიანების დროს, კერძოდ HCV ინფექციის დროს, უჯრედული იმუნიტეტის დათრგუნვაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ვირუსსპეციფიური T-უჯრედების აპოპტოზს, შედეგად შეიძლება განვითარდეს ქრონიკული ინფექცია, ავტოიმუნური და ავთვისებიანი დაავადებები (Gremion et al., 2004; Kountouras, Zavos, & Chatzopoulos, 2003; Lechner et al., 2000; Solary, Dubrez, & Eymin, 1996).

HCV-ს პერსისტენციის კიდევ ერთი მექანიზმია ის, რომ ვირუსი რეპლიცირებს არა მხოლოდ ღვიძლის ქსოვილში, არამედ სხვა ქსოვილებშიც მაგ. მოცირკულირე მაკროფაგებში – მონოციტებში. ასეთ შემთხვევაში ხდება ვირუსის ე.წ. “შენახვა” მაკროფაგებში და იგი იმუნური სისტემისთვის მიუწვდომელი ხდება. ღვიძლის ტრანსპლანტაციისას რეინფექციის ძირითადი მიზეზი სწორედ ამ თავისებურებით აიხსნება (Ploss & Evans, 2012; Sherlock S, 1997).

C ჰეპატიტის დროს ჰუმორული იმუნური პასუხი გამოხატულია სუსტად, ამიტომ გვხვდება C ჰეპატიტის რეინფიცირების შემთხვევები. Anti-HCV განსაზღვრადი ხდება ინფიცირებიდან 6-8 კვირაზე(სეროკონვერსია) და მოკლებულია ვირუსმანიტრალეზელ თვისებებს, ამიტომ ჰუმორული იმუნიტეტი პრაქტიკულად არ მონაწილეობს HCV ინფექციისგან გამოჯანმრთელების პროცესში (Pawlotsky, 1999).

HCV-საგან ერადიკაცია (გათავისუფლება) მოითხოვს თანდაყოლილი და შეძენილი იმუნიტეტის კოორდინირებულ მოქმედებას. HCV-ით ინფიცირების შემდეგ აქტივირდებიან ნატურალური კილერები (NK), ასევე აქტივირდებიან CD4+ და NK T უჯრედები. CD4+ აპროდუცირებს ციტოკინებს, როგორცაა IFN- γ , რომელიც აინდუცირებს ციტოტოქსიურ T ლიმფოციტებს (CTLs). CTLs-ს აქვს უნარი აკონტროლოს ვირუსის რეპლიკაცია, ინფიცირებული უჯრედების პირდაპირი ლიზისის საშუალებით და ასევე ციტოკინების პროდუცირებით, რომლებიც აინჰიბირებენ ვირუსის რეპლიკაციას. შესაბამის მომენტში თუ ვერ მოხერხდება იმუნური პასუხის ინიცირება, იქმნება NK, დენდრიტული და CD4+ უჯრედების დეფიციტი. რაც თავის მხრივ იწვევს ციტოკინების არაადეკვატურ, არაეფექტურ პროდუცირებას რომლებიც ვეღარ აკონტროლებენ HCV ინფექციას და შედეგად ხდება

მისი ქრონიზაცია. ასეთ დროს ციტოკინები იწვევენ არასპეციფიური, ანთებადი უჯრედების დაგროვებას. ვირუსის რეპლიკაცია იწვევს ინფიცირებული უჯრედების დაღუპვას, ცხიმის დაგროვებას და ანთებით პროცესებს, რომლებიც ახდენენ ფიბროზის სტიმულირებას (Gremion & Cerny, 2005; Gruner et al., 2000; Koziel, 2005; Lechner, et al., 2000; MacDonald et al., 2002).

ასევე დადგენილია, რომ მესხიერების CD4+ და CD8+ ლიმფოციტები თამაშობენ გადამწყვეტ როლს HCV რეინფექციისგან დაცვაში (Chang et al., 2001; MacDonald, et al., 2002).

HCV-ს ინფექციის დიაგნოსტიკა

კლინიკური ნიშნების პრაქტიკულად არ არსებობის გამო, HCV-ს დიაგნოსტიკა ლაბორატორიულად ხდება.

C ჰეპატიტის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ძირითად მეთოდებს წარმოადგენს, სისხლში C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების და ვირუსის გენეტიკური მასალის იდენტიფიცირება (Blatt et al., 2000; WHO, 2014a).

C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრის მეთოდებიდან გამოიყოფა: პირველადი ანუ სკრინინგული და დამადასტურებელი ანუ კონფირმაციული მეთოდები.

სკრინინგულ მეთოდებს მიეკუთვნება anti HCV-ს განსაზღვრა სწრაფი/მარტივი (ქრომატოგრაფია) მეთოდით და იმუნოფერმენტული ანალიზი (იფა).

კონფირმაციული მეთოდი ე.წ. იმუნობლოტინგის (RIBA-Recombinant Immuno Blot Assay) მეთოდი, სკრინინგული მეთოდებისაგან განსხვავებით მაღალსპეციფიურია და საშუალებას იძლევა განისაზღვროს ინდივიდუალური ანტისხეულები ვირუსის ცალკეული ანტიგენის – Core, NS2, NS3, NS4, NS5-ის მიმართ. სადღეისოდ ეს მეთოდი თითქმის აღარ გამოიყენება მაღალი ფასისა და შედარებით დაბალი მგრძობელობის გამო, ის ინფორმაციულია მწვავე C ჰეპატიტის დიაგნოზის დასმისას (Yeh et al., 1994). კონფირმაციული, იმუნობლოტინგის მეთოდი ჩანაცვლებულია HCV რნმ-ის თვისობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრის ტესტებით.

სკრინინგული და იმუნობლოტინგის მეთოდით დიაგნოსტიკის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოება, რომ HCV-ს მიმართ ანტისხეულები გამომჟღავნდება (სეროკონვერსია) ნელა. რასაც შეიძლება დაჭირდეს 8-10 კვირა და


ზოგიერთ შემთხვევაში 8-12 თვეც კი (ე.წ. „სერონეგატიური ფანჯარა“ პერიოდი) (Peterson et al., 2000).

ზემოთ ჩამოთვლილი ტესტირების მეთოდები მოწოდებულია არა უშუალოდ C ჰეპატიტის ვირუსის, არამედ ვირუსის მიმართ გამომუშავებული ანტისხეულების აღმოსაჩენად. ამ ტესტებით მიღებული დადებითი შედეგი შეიძლება ნიშნავდეს:

1. ავადმყოფს აქვს აქტიური HCV ინფექცია;
2. ავადმყოფს ჰქონდა C ჰეპატიტი და გამოჯანმრთელდა;
3. გამოსაკვლევი პირი არის ბავშვი (18 თვემდე), რომელმაც დაავადებული დედისგან ტრანსპლაცენტურად ან მშობიარობის დროს მიიღო ანტისხეულები.

anti HCV დადებითი შედეგის მიღების შემდეგ, კვლევა უნდა გაგრძელდეს უშუალოდ HCV რნმ-ის გამოსაკვლენი ტესტირებით. რნმ-ის არსებობა უტყუარად მიუთითებს C ჰეპატიტის აქტიურ ინფექციაზე (Firdaus, Saha, Biswas, & Sadhukhan, 2015).

(სურ. №4). აქტიური HCV ინფექციის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ალგორითმი.



წყარო: University of Washington.

ბოლო წლებში ბაზარზე გამოჩნდა HCV Ag/ab ერთობლივი განსაზღვრის და HCV Core Ag-ის სადიაგნოსტიკო სკრინინგული ტესტები. აღნიშნული ტესტები ამცირებს ე.წ. „სერონეგატიურ ფანჯარა“ პერიოდს. HCV Core Ag-ის სადიაგნოსტიკო ტესტმა კი შეიძლება გვიჩვენოს აქტიურია თუ არა HCV ინფექცია და გარკვეულწილად ჩაანაცვლოს რნმ-ის თვისობრივი განსაზღვრის ტესტი. აღნიშნულზე მიმდინარეობს კვლევები (Seme, Poljak, Babic, Mocilnik, & Vince, 2005; Tillmann, 2014).

აქტიური HCV ინფექციის დადგენის შემდეგ, ღვიძლის დაზიანების ხარისხის შესაფასებლად, დაავადების მიმდინარეობის პროგნოზირებისა და მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად, პაციენტს უტარდება დამატებით გამოკვლევები: ვირუსის გენოტიპირება, ბიოქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა, ღვიძლის ელასტოგრაფია და სხვ.

დაავადების სიმძიმის შეფასება

ქრონიკული HCV ინფექციის პროგრესირების და დაავადების სიმძიმის შეფასების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ღვიძლის ფიბროზი.

არსებობს ღვიძლის ფიბროზის ხარისხის შესაფასებელი ინვაზიური და არაინვაზიური მეთოდები. არაინვაზიური მეთოდები თავის მხრივ იყოფა ინსტრუმენტულ და არაინსტრუმენტულ მეთოდებად (სეროლოგიური მარკერების განსაზღვრა).

ღვიძლის ფიბროზის ხარისხის შესაფასებელი ინვაზიური მეთოდია ბიოფსია. ღვიძლის ბიოფსიით ღვიძლის ჰისტოლოგიის გამოკვლევა საშუალებას გვაძლევს ზუსტად განისაზღვროს ანთების აქტივობა, ფიბროზის ხარისხი და ციროზის სიმძიმე. ჰისტოლოგიურად ანთების აქტივობა და ფიბროზის ხარისხი მაღალი სიზუსტით კორელირებს ციროზის განვითარების რისკთან. გამოყოფენ ფიბროზისა და ანთების აქტივობის 4 სტადიას (მინიმალური; უმნიშვნელო; ზომიერი; გამოსატული) (Bravo, Sheth, & Chopra, 2001; Garcia & Keefe, 2001). ღვიძლის ბიოფსიით მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისთვის არსებობს რამოდენიმე კლასიფიკაცია, პრაქტიკაში ყველაზე გამოყენებადია Ishak და Metavir კლასიფიკაცია.

ბოლო დროს კლინიკურ პრაქტიკაში ბიოფსია, წარმატებით ჩაანაცვლა ღვიძლის ფიბროზის შეფასების არაინვაზიურმა მეთოდებმა. ისინი არ არის ტრავმული და არ ახასიეთებს მანიპულაციის შემდგომი გართულების რისკი.

არაინვაზიური მეთოდები:

1. ფიბროზის სეროლოგიური მარკერების განსაზღვრა და მიღებული მაჩვენებლების პროგრამული დამუშავება. სეროლოგიური მარკერები თავის მხრივ იყოფა 2 ჯგუფად:
 - ა) პირდაპირი სეროლოგიური მარკერები (ექსტრაცელულური მატრიცული ცილები(ECM), ჰიალურონის მუავა, ალფა-2 მაკროგლობულინი).
 - ბ) რაპირდაპირი სეროლოგიური მარკერები (ალანინამინოტრანსფერაზა (ALT), ასპარტატამინოტრანსფერაზა (AST), ALT/AST ინდექსი, თრომბოციტების რიცხვი, პროთრომბინის ინდექსი და სხვა).
2. ინსტრუმენტული კვლევები: ულტრა-ბგერა, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტური რეზონანსი და ბოლო დროს ყველაზე პოპულარული და ინფორმატიული – ელასტოგრაფია, რომლის დროსაც ხდება ღვიძლის სიხისტის შეფასება, რომელიც კორელირებს ღვიძლის ფიბროზის ხარისხთან (de Ledinghen et al., 2006).

C ჰეპატიტის მკურნალობა


“ქრონიკული HCV ინფექცია არის პირველი და ჯერ-ჯერობით ერთადერთი ყველა სხვა ქრონიკულ ინფექციათა შორის, რომელიც გახდა განკურნებადი” (2009, The 19th international Conference of the APASL). ზემოაღნიშნული შესაძლებელი გახდა C ჰეპატიტის მკურნალობაში რევოლუციური, ე.წ. “პირდაპირი მოქმედების პრეპარატების” გამოჩენამ (Soriano et al., 2015).

HCV მკურნალობის მიზანია, მოახდინოს მასპინძლის ორგანიზმიდან ვირუსის ერადიკაცია, დაავადების გართულებების (ღვიძლის ციროზი, ღვიძლის უკმარისობა, ჰეპატოცელულარული კარცინომა), დაავადების ექსტრაჰეპატური გამოვლინებების და ვირუსის გადაცემის პრევენცია. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია, თუ მკურნალობის შედეგად მიღებულია ე.წ. მყარი ვირუსული პასუხი (SVR-არაგანსაზღვრადი HCV რნმ-ი მკურნალობის დამთავრებიდან 12 ან 24 კვირის შემდეგ) (S & Colombo, 2016).

C ჰეპატიტის მკურნალობამ მრავალი ეტაპი განვლო: სტანდარტული (არამოდიფიცირებული) ინტერფერონით მონოთერაპია, სტანდარტული ინტერფერონით და რიბავირინით კომბინირებული მკურნალობა, პეგილირებული (მოდიფიცირე-

ბული) ინტერფერონით მონოთერაპია, პეგილირებული ინტერფერონით და რიბავირინით კომბინირებული მკურნალობა (ორმაგი თერაპია), I გენერაციის პირდაპირი ანტივირუსული მოქმედების პრეპარატებით (DAA) მკურნალობა, პეგილირებული ინტერფერონით და რიბავირინით კომბინირებული მკურნალობა (სამმაგი თერაპია), II გენერაციის პირდაპირი ანტივირუსული მოქმედების პრეპარატებით მკურნალობა (უინტერფერონო რეჟიმები) და სხვ(Afdhal et al., 2014; Marinho, Vitor, & Velosa, 2014; McHutchison et al., 1998; McHutchison et al., 2000; Shiffman, et al., 2004; Soriano, et al., 2015).

(დიაგრამა №8) HCV ინფექციის მკურნალობის ეტაპები (1986-2002).



წყარო: AASLD Practice Guideline: Diagnosis, management and treatment of hepatitis C. 2004


თავდაპირველად C ჰეპატიტის სამკურნალოდ გამოიყენებოდა სტანდარტული, არამოდულირებული ინტერფერონი, რომელსაც მკურნალობის შეზღუდული ეფექტურობა ქონდა, აღნიშნული განპირობებული იყო მისი ფარმაკოკინეტიკური თვისებებით: სწრაფი აბსორბციით, სწრაფი მეტაბოლიზმით და სწრაფი კლირენსით. (ნახევრადდაშლის პერიოდი 4-6 საათი). მკურნალობისას საჭირო იყო მისი ხშირი გამოყენება (კვირაში სამჯერ) (Poynard et al., 1996).

სტანდარტული ინტერფერონის გამოყენებისას აღინიშნებოდა შრატში მისი კონცენტრაციის მერყეობა, რაც ვირუსს საშუალებას აძლევდა ხელახლა გამრავ-

ლებულიყო. ამასთან, ინტერფერონის კონცენტრაციის პიკის დროს არის მისი გვერდითი ეფექტების გამოვლენა (გრიპისმაგვარი სიმპტომები), რაც ძალზე შემაწუხებელია ავადმყოფისთვის.

მკურნალობის ოპტიმალური შედეგის მისაღწევად ვირუსის რეპლიკაციის მუდმივი დათრგუნვაა საჭირო, რასაც უზრუნველყოფს პეგილირებული (მოდულირებული) ინტერფერონები, რომლებიც 2001 წელს გამოჩნდა (PegIntron – Peg-IFN α -2b და Pegasys–Peg-IFN α -2a)(Napoli et al., 2005).

(დიაგრამა №9-10) სტანდარტული (კონვენციური) და პეგილირებული ინტერფერონების ფარმაკოკინეტიკა.



წყარო: C პეპატიტის მკურნალობა (დ. შარვაძე) 2015 წ.

პეგილაცია გულისხმობს პოლიეთილენგლიკოლის (პეგ) ჯაჭვის დაკავშირებას სხვა მოლეკულასთან მისი აქტივობის მოდიფიკაციის, ფარმაკოკინეტიკური და ფარმაკოდინამიკური თვისებების გაუმჯობესების მიზნით. პეგილირებული (მოდულირებული) ინტერფერონის კლირენსი ორგანიზმიდან 100-ჯერ უფრო ნელია, სტანდარტულ ინტერფერონთან შედარებით. პლაზმაში ინტერფერონის მყარი კონცენტრაცია ინიექციიდან 168 საათის (1 კვირის) განმავლობაშია შენარჩუნებული. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა, პეგილირებული ინტერფერონის კვირაში ერთხელ გამოყენებისას მოხდეს ვირუსის რეპლიკაციის მუდმივი და მყარი დათრგუნვა ინიექციიდან მომდევნო ინიექციამდე (ერთი კვირის განმავლობაში).


პეგილირებული ინტერფერონით მკურნალობისას გვერდითი ეფექტების სიხშირე სტანდარტულ ინტერფერონთან შედარებით ნაკლებია, შრატში მისი კონცენტრაციის მერყეობის შემცირების გამო. თუმცა მისი უკუზღვენებები (დეკომპენსირებული ციროზი, ავტოიმუნური დაავადებები და სხვ.) და გვერდითი ეფექტების მართვა მნიშვნელოვან პრობლემად რჩება.

2002 წლიდან ბოლო პერიოდამდე, კერძოდ DAA პრეპარატების გამოჩენამდე, HCV ინფექციის ყველაზე ეფექტურ მკურნალობად პეგილირებული ინტერფერონის და რიბავირინის კომბინაცია ითვლებოდა (სურ. №12) (Chemello et al., 1995; Manns et al., 2001).

ინტერფერონი არის ანტივირუსული, იმუნომოდულაციური, ანთების საწინააღმდეგო მოქმედების აქტიური ნივთიერება. ის ბოჭავს ჰეპატოციტის მემბრანაზე არსებულ სპეციფიკურ რეცეპტორს, რასაც მოყვება უჯრედშიგა პროცესების მთელი კასკადი: ფერმენტების გააქტიურება, უჯრედის პროლიფერაციის სუპრესია, მაკროფიბის ფაგოციტური აქტივობის გაზრდა, ციტოტოქსიური უჯრედების გააქტიურება, ვირუსით ინფიცირებულ უჯრედში ვირუსის რეპლიკაციის დათრგუნვა, ნატურალური კილერების აქტივაცია, MHC I და MHC II კლასის ანტიგენების ექსპრესიის გაზრდა და სხვ.(სურათი №14).

რიბავირინი ნუკლეოზიდის, გუანოზინის ანალოგია. HCV ინფექციის სამკურნალოდ გამოიყენება ინტერფერონთან კომბინაციაში და აძლიერებს მის ანტივირუსულ ეფექტს, მოქმედებს სინერგიულად. მისი მოქმედების მექანიზმი ბოლომდე არ არის გარკვეული, თუმცა ცნობილია, რომ იგი ახდენს: გუანოზინის სინთეზის ბლოკირებას, ვირუსის ნუკლეინის მუცავების ინჰიბირებას, ტრანსკრიპციის პროცესის დარღვევას და ვირუსის პოლიმერაზას პირდაპირ ინჰიბირებას (Neumann et al., 1998).


(სურ. №5)



წყარო: C ჰეპატიტის მართვა(გაილდანი) 2006წ.

2011 წლიდან გამოჩნდა I გენერაციის პირდაპირი ანტივირუსული მოქმედების პრეპარატები(ბოცეპრევირი, ტელაპრევირი). ეს არის ახალი ტიპის ანტივირუსული მოქმედების მედიკამენტები, რომლებიც C ჰეპატიტის ვირუსზე მოქმედებენ პირდაპირ, იწვევენ რა ვირუსის რეპლიკაციის ციკლში მონაწილე ამათუ იმ ფერმენტისა თუ მნიშვნელოვანი ცილების ბლოკირებას (ინჰიბირებას). აღნიშნული პრეპარატები მოწოდებულია პირველი გენოტიპით ინფიცირებული პაციენტების სამკურნალოდ და ინიშნება პეგილირებულ ინტერფერონთან და რიბავირინთან ერთად(სამმაგი თერაპია) (Welsch, Jesudian, Zeuzem, & Jacobson, 2012).


(სურ. №6) HCV სასიცოცხლო ციკლი და DAA-ს სამიზნე.



წყარო: Manns MP, et al. 2007.

სამშაგმა თერაპიამ მნიშვნელოვნად, 75%-მდე გაზარდა პირველი გენოტიპით ავადმყოფებში SVR-ის პროცენტი, თუმცა აქვს მთელი რიგი ნაკლოვანებები: გვერდითი ეფექტების სიმრავლე, მკურნალობის ხანგრძლივობა, მაღალი ფასი და სხვ.


(დიაგრამა №11) HCV ინფექციის მკურნალობის ეტაპები (1986-2011).



წყარო: C ჰეპატიტის მკურნალობა (ლ. შარვაძე) 2015წ.

2013 წელს კლინიკურ პრაქტიკაში გამოსაყენებლად დამტკიცდა II გენერაციის პირდაპირი ანტივირუსული მოქმედების მედიკამენტები (სიმეპრევირი, სოფოსბუვირი). სიმეპრევირი/Olysis NS3/4A პროტეაზას ინჰიბიტორია. განკურნების ეფექტურობით ის ჩამორჩება სოფოსბუვირს. სოფოსბუვირი/Sovaldi არის NS5B პოლიმერაზას ინჰიბიტორი. ის ინტეგრირდება HCV-ს რნმ-ში და ახდენს მისი რეპლიკაციის ბლოკირებას. სოფოსბუვირმა მოახდინა ერთგვარი რევოლუცია C ჰეპატიტის მკურნალობაში, მას ე.წ. “თამაშის წესების შემცვლელი” უწოდეს, რადგან ამ პრეპარატმა ჩაუყარა საფუძველი ინტერფერონისაგან თავისუფალ (interferon-free) თერაპიას და “დრამატულად” გაზარდა მკურნალობის ეფექტურობა (>90%) (Lam, Jeffers, Younoszai, Fazel, & Younossi, 2015; Zeuzem et al., 2014).

(დიაგრამა №12) HCV ინფექციის მკურნალობის ეტაპები (1986-2013).




წყარო: C ჰეპატიტის მკურნალობა (დ. შარვაძე) 2015წ.

2014 წელს დამტკიცდა II გენერაციის DAA პრეპარატი დაკლატასვირი/Daclinza, რომელიც NS5A-ს ინჰიბიტორია. ამავე წელს დამტკიცდა ურიბავირინო რეჟიმი ლედიპასვირი+სოფოსბუვირი/Harvoni. ლედიპასვირი წარმოადგენს NS5A-ს ინჰიბიტორს. სოფოსბუვირთან ერთად, რომელსაც გააჩნია პან-გენეტიკური აქტივობა (მოქმედებს ყველა გენოტიპზე) 100%-მდე იზრდება ჰარვონის განკურნების ეფექტი. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჰარვონი ეფექტური და უსაფრთხოა შორსწასული ჰეპატიტის დროს და გამოიყენება სოფოსბუვირით წარუმატებლად ნამკურნალებ პაციენტებშიც (Relapsis) (Wyles et al., 2015; Younossi et al., 2015).

(დიაგრამა №13) HCV ინფექციის მკურნალობის ეტაპები (1986-2014).

SVR%



წყარო: C ჰეპატიტის მკურნალობა (დ. შარვაძე) 2015წ.

DAA-ს ჯგუფები:

1. NS3/4A – პროტეაზას (სერინ) ინჰიბიტორები ე.წ. "Previrს" (ბოცეპრევირი, ტელაპრევირი, სიმეპრევირი, პარიტაპრევირი, ასუნაპრევირი, გრაზოპრევირი).
2. NS5A-ს ინჰიბიტორები ე.წ. "Asvirს" (დაკლათასვირი, ლედიპასვირი, ომბიტასვირი, ველპატასვირი, ელბასვირი).
3. NS5B – პოლიმერაზას ინჰიბიტორები (2 ჯგუფი):
 - ნუკლეოზიდის ანალოგები ე.წ. "Buvirs" (სოფოსბუვირი, მერიციტაბინი).
 - არანუკლეოზიდის ანალოგები ე.წ. "Buvirs" (დასაბუვირი, ბეკლაბუვირი, ABT-072).
4. ციკლოფილინის ინჰიბიტორები (ალისპორივირი, SCY-465).

კლინიკურ პრაქტიკაში HCV ინფექციის სამკურნალოდ დამტკიცებული მედიკამენტებია:

- პეგილირებული ინტერფერონი 2 ა (Pegasys).
- პეგილირებული ინტერფერონი 2 ბ (PegIntron).
- რიბავირინი (Copegus, Rebetol).
- ბოცეპრევირი (VICTRELIS).
- ტელაპრევირი (Incivek, Incivo).
- სიმეპრევირი (Olysio).
- სოფოსბუვირი (Sovaldi).
- დაკლატასვირი (Daklinza).
- დასაბუვირი (Exviera).
- სოფოსბუვირი/ლედიპასვირი (Harvoni).
- ომბიტასვირი/პარიტაპრევირი/რიტონავირი+დასაბუვირი (Viekira PaK).
- ომბიტასვირი/პარიტაპრევირი/რიტონავირი (Viekirax).

HCV ინფექციის ანტივირუსული მკურნალობის რეჟიმები (AASLD, EASL, 2015):

1. ინტერფერონის შემცველი რეჟიმები.
 - PEG/RBV+SOF
 - PEG/RBV+SMV
2. ინტერფერონისაგან თავისუფალი რეჟიმები.
 - SOF/LDP (Harvoni)
 - SOF/LDP + RBV
 - SOF+RBV
 - SOF+SMV
 - SOF+SMV+RBV
 - SOF+DCV
 - SOF+DCV + RBV
 - VIEKIRA PAK
 - VIEKIRA PAK +RBV

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ ბოლო პერიოდში HCV ინფექციის მკურნალობაში მიღწეულმა შედეგებმა თითქმის 100%-ით განკურნებადი გახადა დაავადება. აღნიშნული პრეპარატები მაღალეფექტური და უსაფრთხოა. სამკურნალოდ დამტკიცებული რეჟიმების მრავალფეროვნება კი იძლევა იმის საშუალებას, რომ ანტივირუსულ მკურნალობაში ჩაერთონ პაციენტები გართულებული და შორსწასული ჰეპატიტებით (Charlton et al., 2015; Wyles, et al., 2015). ძირითად პრობლემად რჩება მედიკამენტების უკიდურესი სიძვირე. მსოფლიოს მასშტაბით მხოლოდ ერთეული, მაღალგანვითარებული ქვეყნები ახერხებენ უმკურნალონ თავიანთ მოსახლეობას.

C ჰეპატიტის მკურნალობა საქართველოში

2015 წელის აპრილში, საქართველოს მთავრობის, ჯანმრთელობის სამინისტროს და ამერიკის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის(CDC) ხელშეწყობით კომპანია “გილეად“-თან ხელი მოეწერა მემორანდუმს. საქართველოში დაიწყო C ჰეპატიტის ელიმინაციის(HCV ინფექციის ინციდენტობის ნულამდე შემცირება) უპრეცედენტო სახელმწიფო პროგრამა (CTOP C). ამ პროგრამის ფარგლებში, მოხდება დაავადების ფართომასშტაბიანი გამოვლენა, ჩატარდება მისი გავრცელების პრევენციული ღონისძიებები და საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელსაც ესაჭიროება C ჰეპატიტზე მკურნალობა, მიიღებს უმაღლესი სტანდარტის უფასო ანტივირუსულ მკურნალობას. შედეგად, საქართველო შეიძლება გახდეს პირველი სამოდერნო ქვეყანა, სადაც 2020 წლისათვის მოხდება C ჰეპატიტის ელიმინაცია (Mitruka et al., 2015).

კვლევის ობიექტი და მეთოდები

შრომაში აღწერილი კვლევები ჩატარდა ს.ს. ინფექციური პათოლოგიის შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრისა და ქართულ-ფრანგული ჰეპატოლოგიური კლინიკა “ჰეპა“-ს ბაზაზე.

კვლევა 1:

ახალი/მწვავე HCV ინფექციის გამოვლენა და ავადმყოფთა კლინიკური, იმუნოლოგიური, ვირუსოლოგიური და მოლეკულურ-გენეტიკური მახვენებლების შესწავლა C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირების პირველივე დღეებიდან, ჯერ კიდევ სეროკონვერსიამდე.

კვლევის დიზაინი და კვლევაში ჩართულ პირთა მახასიათებლები:

აღნიშნული პროსპექტული კვლევა მიმდინარეობდა 3 წელი (2007-2010) და მონაწილეობდა 20-დან 57 წლამდე ასაკის 11200 პირი (7600 სერონეგატიური სისხლის დონორი და 3600 სერონეგატიური IDUs-ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელი), რომელთა საშუალო ასაკი შეადგენდა 31 წელს. უმეტესობა იყო მამაკაცი 7952 (71%), ქალი მონაწილეობდა 3248 (29%).

კვლევაში ჩართვის მთავარი კრიტერიუმი იყო, C ჰეპატიტის მიმართ ანტისხეულების არ არსებობა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა დონორებში და ნარკოტიკების ინტრავენურად მომხმარებლებში HCV რნმ-ის გამოვლენა ჯერ კიდევ სეროკონვერსიამდე, რაც იძლეოდა სერონეგატიურ, ფანჯარა პერიოდში ახალი/მწვავე ინფექციის გამოვლენის და მასზე დაკვირვების უნიკალურ შანსს.

ახალ/მწვავე ინფექციად მიჩნეულია ინფიცირების პერიოდი, როდესაც შრატში/პლაზმაში ანტისხეულები ჯერ არ ისახდვრება, ხოლო ვირუსის რნმ-ი უკვე განსაზღვრადია.


სისხლის დონორებს C ცეპატიტის ანტისხეულებზე კვლევა ჩატარდათ სისხლის ბანკებში, ხოლო IDUs-ებს შესაბამის საკონსულტაციო ცენტრებში.

ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა აღნიშნული სერონეგატიული პირების HCV რნმ-ზე 5 და 6 კაციანი მინი “ავხით”(pool) კვლევა. ყოველი HCV რნმ-ზე უარყოფითი “ავხი” ამოვიღეთ კვლევიდან. დადებით შედეგიან “ავხს” გაუგრძელდა შემდგომი კვლევა და “ავხის” თითოეულ წევრს ინდივიდუალურად გაუკეთდა HCV

რნმ-ზე გამოკვლევა. ყველა HCV რნმ უარყოფითი ამოვიღეთ კვლევიდან, ხოლო HCV რნმ დადებითი პირები, რომლებიც გამოვლინდნენ ამ გზით არიან მწვავე/ახალი ინფექციის მატარებლები და სწორედ მათზე შემდგომი დაკვირვებით მოხდა ინფიცირების ბუნებრივი მიმდინარეობის შესწავლა.

(სურ. №7).

კვლევის დიზაინი



ზემოაღნიშნული სქემის შედეგად გამოვლენილი HCV რნმ დადებით პირების გაისინჯვა მოხდა ექიმ-ინფექციონისტის მიერ, დამატებით ჩაუტარდათ პლაზმაში HCV რნმ-ის რაოდენობრივი კვლევა, HCV გენოტიპირება და სუბტიპირება და შრატის ბიოქიმიური გამოკვლევა.

კერძოდ, გამოვლენილ პაციენტებზე 6 თვის განმავლობაში მოხდა დაკვირვება. რაც თავის მხრივ მოიცავდა: მე-2, მე-4, მე-8, მე-12 და 24-ე კვირებზე C ჰეპატიტის ანტისხეულებზე გამოკვლევას, HCV ვირუსული დატვირთვის განსაზღვრას, ბიოქიმიური მაჩვენებლების მონიტორინგს და ექიმთან ვიზიტს.

რადგან ყველა HCV ინფიცირებული პირი ასევე არის HIV და HBV ინფექციებზე ინფიცირების მაღალი რისკის ჯგუფში, ჩვენს მიერ გამოვლენილ

მწვავე/ახალი C ჰეპატიტით ინფიცირებულ პირებსაც დამატებით ჩაუტარდათ HBV და HIV ინფექციებზე გამოკვლევა. აგრეთვე, ყოველ მათგანს, დემოგრაფიული და ეპიდემიოლოგიური ინფორმაციის მიღების მიზნით ჩაუტარდათ ინტერვიუ.

Anti HCV-ზე სკრინინგისათვის ვიყენებდით მე-3 გენერაციის Ortho HCV version 3.0 ELISA (Gohnson-Gohnson, USA) ტესტ-ნაკრებს.

HbsAg-ზე სკრინინგისათვის ვიყენებდით HBsAg Ultra ELISA (Dia.Pro, Italy) ტესტ-ნაკრებს.

Anti HIV1/2-ზე სკრინინგისათვის ვიყენებდით Vironostika HIV1/2 ab ELISA (Biomerieux, France) ტესტ-ნაკრებს.

HCV რნმ-ის თვისობრივი განსაზღვრისათვის ვიყენებდით COBAS® Amplicor® HCV Test v2.0 (Roche Diagnostics, Germany).

HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრისათვის ვიყენებდით COBAS® TaqMan® HCV Test v2.0, With The High Pure System (Roche Diagnostics, Germany).

HCV გენოტიპირებისა და სუბტიპირებისათვის ვიყენებდით Versant HCV Genotype 2.0 (LIPA) (Innogenetics, Belgium).

კვლევა 2:

მწვავე, სიმპტომური HCV ინფექციის გამოვლენა და მისი მიმდინარეობის შესწავლა C ჰეპატიტის მაღალი სარისკო ქცევის აივ ინფიცირებულებში. IL28B-ს, როგორც მასპინძლის ფაქტორის როლის შესწავლა HCV ვირუსისაგან სპონტანურ გამოჯამრთელებაში HIV/HCV კო-ინფექციით პაციენტებში და მიღებული შედეგების შედარება HCV მონონიფიცირებულ პაციენტებთან.

კვლევის დიზაინი და კვლევაში ჩართულ პირთა მახასიათებლები:

აღნიშნული პროსპექტული კვლევა მიმდინარეობდა 3 წელი (2011-2013). ამ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს იმ აივ ინფიცირებულმა პირებმა, რომლებსაც ქონდათ უარყოფითი ჰეპატიტის სეროლოგიური მარკერები და იყვნენ HCV ინფექციის მაღალი რისკის ქვეშ: 322 IDUs და 129 MSM (მამაკაცი ვისაც ჰქონდა სექსი მამაკაცთან).

კვლევაში ჩართვის მთავარი კრიტერიუმი იყო, აივ-ით ინფიცირების დადასტურებული დიაგნოზი, HCV ინფექციის მაღალი სარისკო ქცევა, C ჰეპატიტის მიმართ ანტისხეულების არ არსებობა და ჰეპატიტის ნიშნების რაიმე სახით

კლინიკური გამოვლინება(სიყვითლე, მომატებული ტრანსამინაზები, ჰეპატომეგალია და სხვ). ასეთ პირებს ჩაუტარდათ HCV რნმ-ზე რეალური დროის თვისობრივი პჯრ დიაგნოსტიკა. იმ პირებს, რომელთაც აღმოაჩნდათ დადებითი HCV რნმ-ი, დაუდგინდათ მწვავე HCV ინფექცია.

კვლევის დიზაინის თანახმად, გამოვლენილ მწვავე HCV ინფექციით პირებს, ჩაუტარდათ HCV გენოტიპირება და სუბტიპირება რევერს-ჰიბრიდიზაციის მეთოდით, აგრეთვე IL28b გენოტიპირება rs12979860 უბანში ერთეული ნუკლეოტიდების პოლიმორფიზმის დასადგენად.

კვლევის მთელი მიმდინარეობის პერიოდში, გამოვლენილ მწვავე C ჰეპატიტიან პირებს HCV ვირუსის მონიტორინგისათვის ყოველთვიურად უტარდებოდათ HCV რნმ-ზე რეალური დროის რაოდენობრივი პჯრ კვლევა. პაციენტებზე დაკვირვებისათვის და ვირუსის მონიტორინგისათვის განისაზღვრა ცხრა თვიანი პერიოდი.

რადგან ყველა HCV/HIV ინფიცირებული პირი ასევე არის HBV ინფექციებზე ინფიცირების მაღალი რისკის ჯგუფში, ჩვენს მიერ გამოვლენილ მწვავე C ჰეპატიტით ინფიცირებულ პირებსაც დამატებით ჩაუტარდათ HBV ინფექციებზე გამოკვლევა. აგრეთვე, ყოველ მათგანს, დემოგრაფიული და ეპიდემიოლოგიური ინფორმაციის მიღების მიზნით ჩაუტარდათ ინტერვიუ.

Anti HCV-ზე სკრინინგისათვის ვიყენებდით მე-3 გენერაციის Ortho HCV version 3.0 ELISA (Gohnson-Gohnson, USA) ტესტ-ნაკრებს.

HbsAg-ზე სკრინინგისათვის ვიყენებდით HBsAg Ultra ELISA (Dia.Pro, Italy) ტესტ-ნაკრებს.

HCV რნმ-ის თვისობრივი განსაზღვრისათვის ვიყენებდით HCV Real-TM Qual Test (Sacace Biotechnologies, Italy).

HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრისათვის ვიყენებდით COBAS® TaqMan® HCV Test v2.0, With The High Pure System (Roche Diagnostics, Germany).

HCV გენოტიპირებისა და სუბტიპირებისათვის ვიყენებდით Versant HCV Genotype2.0 (LIPA) (Innogenetics, Belgium).

IL28b-ს განსაზღვრისათვის ვიყენებდით IL28b rs12979860 Real-TM Test (Sacace Biotechnologies, Italy).

კვლევა 3:

ოკულტური C ჰეპატიტის შემთხვევების გამოვლენა აივ ინფიცირებულ პირებში, როგორც HCV ინფექციის მაღალი რისკის ჯგუფში და ასეთების არსებობის შემთხვევაში, მათი მოლეკულურ-გენეტიკური მახვენებლებისა და ფიბროზის ხარისხის შესწავლა.

კვლევის დიზაინი და კვლევაში ჩართულ პირთა მახასიათებლები:

აღნიშნული კვლევა მიმდინარეობდა 2011-2013 წლებში. კვლევაში ჩართვის მთავარი კრიტერიუმი იყო, აივ-ით ინფიცირების დადასტურებული დიაგნოზი, C ჰეპატიტის მიმართ ანტისხეულების არ არსებობა და შრატსა და პლაზმაში უარყოფითი HCV რნმ-ი.

ლიტერატურაში აღწერილია ოკულტური C ჰეპატიტის შემთხვევების გამოვლენა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში. როგორც მაღალი რისკის ჯგუფებში, როგორებიცაა გაურკვეველი ეტიოლოგიის ქრონიკული ჰეპატიტით პაციენტები, ჰემოდიალიზზე მყოფი პირები და სხვა, ასევე ჯანმრთელ პოპულაციაში, რომელთაც არ აღენიშნებათ ჰეპატიტის არანაირი ნიშნები (Barril et al., 2008; Carreno, Bartolome, Castillo, & Quiroga, 2012). აივ ინფიცირებულ პირებში ოკულტური HCV ინფექციის შესახებ ინფორმაცია ფაქტიურად არ მოიპოვება. ამიტომ ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოში, აივ ინფიცირებულებში, როგორც C ჰეპატიტის მიმართ მაღალი რისკის ჯგუფში ოკულტური C ჰეპატიტის გამოვლენა და შესწავლა.

ოკულტურ C ჰეპატიტად (OCI) მიხნეულია შედარებით ახლახანს გამოვლენილი პათოლოგია, რომელიც ხასიათდება შრატში ან პლაზმაში HCV რნმ-ის არ არსებობით, მაშინ როდესაც ის განსაზღვრადია პერიფერიული სისხლის მონონუკლეარებში (PBMS) ან ღვიძლის ქსოვილში (Castillo et al., 2004; Welker & Zeuzem, 2009). ჩვენს კვლევაში ანალიზისათვის შევარჩიეთ პაციენტების სამი ჯგუფი, ჯამში 51 ± 12 ასაკის 161 აივ ინფიცირებული პირი:

ჯგუფი 1 – აივ-ით ინფიცირებული პაციენტები ღვიძლის დაავადებების გარეშე ($n = 98$),

ჯგუფი 2 – უცნობი ეტიოლოგიის ღვიძლის დაავადებების მქონე აივ ინფიცირებული პირები ($n = 34$),

ჯგუფი 3 – HIV/HBV კო-ინფიცირებული პაციენტები ($n = 29$).

ცხრილი №2. კვლევაში ჩართული აივ ინფიცირებული პაციენტების ბაზისური მონაცემები (n = 161).

კატეგორია	მონაცემი
პაც. რაოდენობა (ჯამი)	161
ღვიძლის დაავადების გარეშე (ჯგუფი 1)	98
კრიპტოგენული ღვიძლის დაავადებით (ჯგუფი 2)	34
HIV/IBV კო-ინფიცირებულები (ჯგუფი 3)	29
სქესი, მამაკაცი/ქალი	103/58
ასაკი, საშუალო, წელი	51 ± 12
BMI, საშუალო	26.6 ± 4
ღვიძლის დაზიანების ხარისხი, საშუალო (kPa)	(8.8 ± 0.7)

OCI-ის გამოსავლენად საუკეთესო მასალაა ღვიძლის ქსოვილი. ღვიძლის ბიოფსიის ხელმიუწვდომლობის გათვალისწინებით, კვლევაში ჩართულ ყველა სუბიექტს OCI-ის გამოსავლენად, HCV რმნ-ზე კვლევა პერიფერიული სისხლის მონონუკლეარებში რეალური დროის პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდით ჩაუტარდთ. აღნიშნული კვლევა წარმოადგენს ალტერნატიულ მეთოდს, ინფორმატიულია და უფრო ხელმისაწვდომია.

ლაბორატორიული კვლევების ხარისხის კონტროლის მიზნით, გარდა ტესტში არსებული დადებითი და უარყოფითი კონტროლებისა, პაციენტების ნიმუშებთან ერთად კვლევაში მუდმივად გამოიყენებოდა დადასტურებული HCV რმნ უარყოფითი ნიმუშები.

გამოვლენილ OCI პირებს, HCV გენეტიკური ტიპის გადანაწილების შესასწავლად, დამატებით ჩაუტარდათ HCV გენოტიპირება. ღვიძლის დაზიანების ხარისხის გამოსავლენად ჩაუტარდათ ღვიძლის ელასტოგრაფია, რომელსაც ბიოფსიასთან შედარებით აქვს შემდეგი უპირატესობები: არაინვაზიურია, ხელმისაწვდომია, სწრაფია და მისი სანდოობის ხარისხი აღიარებულია ევროპასა და ამერიკაში.

კვლევაში გამოყენებული მეთოდები:

Anti HCV–ზე სკრინინგისათვის ვიყენებდით მე-3 გენერაციის Ortho HCV version 3.0 ELISA(Gohnson-Gohnson, USA) ტესტ-ნაკრებს.

HBsAg–ზე სკრინინგისათვის ვიყენებდით HBsAg Ultra ELISA (Dia.Pro, Italy) ტესტ-ნაკრებს.

შრატსა და პლაზმაში HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრისათვის ვიყენებდით COBAS® TaqMan® HCV Test v2.0, With The High Pure System (Roche Diagnostics, Germany).

PBMs-ში HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრისათვის ვიყენებდით: ჰეპარინის სიმკვრივის გრადიენტულ ცენტრიფუგირებას. რნმ-ის გამოსაყოფად და პურიფიკაციისათვის – Rneasy Mini Kit(Qiagen, USA). გამოყოფილი რნმ-ის ამპლიფიკაციისა და დეტექციისათვის გამოიყენებოდა COBAS® TaqMan® HCV Test v2.0 (Roche Diagnostics, Germany) მწარმოებლის მცირედ შეცვლილი პროტოკოლით.

HCV გენოტიპირებისა და სუბტიპირებისათვის ვიყენებდით Versant HCV Genotype 2.0 (LIPA) (Innogenetics, Belgium).

ღვიზლის ფიბროზის ხარისხის განსაზღვრისათვის გამოიყენებოდა ფიბროსკანი (Echosens, France). თვითოეული პაციენტისათვის მედიანური მნიშვნელობა ისაზღვრებოდა კილოპასკალებში(kPa) და ფასდებოდა METAVIRE სისტემით.

კვლევა 4:

IP-10-ის, როგორც პროგნოზული მარკერის შესწავლა მწვავე და ქრონიკული HCV ინფექციით მონო და HIV/HCV კოინფექციით პირებში და შედეგების შედარება IL28B პროგნოზულ მარკერთან.

კვლევის დიზაინი და კვლევაში ჩართულ პირთა მახასიათებლები:

აღნიშნული კოჰორტული კვლევა ჩატარდა ს.ს. ინფექციური პათოლოგიის შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრისა და ქართულ-ფრანგული ჰეპატოლოგიური კლინიკა “ჰეპა“-ს ბაზაზე. კვლევაში გამოვიყენეთ აღნიშნულ კლინიკებში –70°C-ზე შენახული სისხლის ნიმუშები, რომლებზეც წინასწარ იყო მიღებული წერილობითი თანხმობა, მათი სამეცნიერო კვლევებისათვის გამოყენების შესახებ. დამატებით, კვლევისათვის გამოვიყენეთ იმ პაციენტების სისხლის ნიმუშები, რომელთაც მოაკითხეს ჩვენს კლინიკებს და

დაიწყეს ქრონიკული C ჰეპატიის მკურნალობა. ასევე, იმ პირთა ნიმუშები, ვისაც აღნიშნული პერიოდში დაუდგინდათ მწვავე HCV ინფექცია.

აივ ინფიცირებულებში, თანამედროვე ანტირეტროვირუსულმა მკურნალობამ (HAART) მკვეთრად შეამცირა ავადობა და სიკვდილიანობა (Panos et al., 2008; Quinn, 2008). თუმცა, HCV ინფექცია ჯერ კიდევ რჩება ამ პოპულაციაში სიკვდილობის მთავარ მიზეზად (Martin-Carbonero et al., 2001; Monga et al., 2001). როგორც ცნობილია, HCV მონონფიცირებულებთან შედარებით, HIV/HCV კო-ინფიცირებულებში C ჰეპატიის ანტივირუსული მკურნალობის გვერდითი ეფექტი მეტადაა გამოხატული, ხოლო განკურნების პროცენტი მნიშვნელოვნად შემცირებულია და შეადგენს 27-40%-ს (5,6,7), პირველ გენოტიპიანებში(G1) კი ის საერთოდ 14-29%-ია (Carrat et al., 2004; Chung et al., 2004; Torriani et al., 2004).

მკურნალობის მაღალი ღირებულების და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მეტად მნიშვნელოვანია C ჰეპატიის მკურნალობის დაწყებამდე ან მკურნალობის საწყის ეტაპზე იმ სეროლოგიური მარკერების გამოვლენა რომლებიც კავშირშია განკურნების დაბალ გამოსავალთან. ამ გზით შეიძლება დავზოგოთ პაციენტი მკურნალობის არასასურველი გვერდითი ეფექტებისაგან და ფუჭად გაწეული ხარჯებისაგან.

ლიტერატურაში ცოტაა ცნობილი მასპინძლის ფაქტორებზე, რომლებიც ზრდის C ჰეპატიის ანტივირუსული მკურნალობის გამოსავალს. არსებობს გარკვეული მონაცემები HCV მონონფიცირებულებზე, სადაც შრატის IP-10 დონე არამოპასუხეებში (NR) უფრო მაღალია ვიდრე მოპასუხეებში სადაც მოხდა ვირუსისაგან ერადიკაცია (Diago et al., 2006; Lagging et al., 2006). აღნიშნული თითქმის არ არის შესწავლილი კო-ინფიცირებულებში და ახალი, მწვავე HCV ინფექციით პაციენტებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენს კვლევაში დაკვირვებისათვის გამოვიყენეთ ოთხი სამიზნე და ერთი საკონტროლო ჯგუფი:

1. ქრონიკული HCV-ით მონონფიცირებული პირები, რომლებიც იწყებენ ანტივირუსულ მკურნალობას(n=85).
2. მწვავე HCV -ით მონონფიცირებული პირები(n=11).
3. HIV/HCV კო-ინფიცირებულები, აივ დადასტურებული დიაგნოზით და ქრონიკული, აქტიური HCV ინფექციით რომლებიც იწყებენ C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ანტივირუსულ მკურნალობას (n=57).

4. HIV/HCV კო-ინფიცირებულები, აივ დადასტურებული დიაგნოზით და მწვავე HCV ინფექციით (n=7).

5. აივ-ით და ვირუსული ჰეპატიტებით არაინფიცირებული, ჯანმრთელი მოხალისეები (n=18).

აღნიშნული კვლევა მიმდინარეობდა 2 წელი (2014-2015). ამ კვლევაში მონაწილე ყველა პირს ჰქონდა კომპენსირებული ღვიძლის დაავადება და უარყოფითი HBsAg-ის ტესტის შედეგი.

კვლევის ყოველ მონაწილეზე მოხდა დემოგრაფიული და ეპიდემიოლოგიური ინფორმაციის მოძიება.

კვლევაში ჩართულ ყველა პირს ჩაუტარდა HCV გენოტიპირება და სუბტიპირება რევერს-ჰიბრიდიზაციის მეთოდით, აგრეთვე IL28b გენოტიპირება rs12979860 უბანში ერთეული ნუკლეოტიდების პოლიმორფიზმის დასადგენად. ღვიძლის ფიბროზის ხარისხის დასადგენად ჩაუტარდათ ფიბროსკანით კვლევა. HCV ვირუსული დატვირთვის, ტრანსამინაზების და შრატის IP-10-ის განსაზღვრა ხდებოდა მკურნალობის საწყის ეტაპზე, შემდგომ ყოველ ერთ თვეში და მკურნალობის დასრულებისას.

კვლევის დიზაინის თანახმად, 18 მოხალისე ჯანმრთელ პირს განესაზღვრა Ip-10-ის დონე, საკონტროლო ჯგუფის შედეგების დანარჩენებთან შესადარებლად.

კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტული და ლაბორატორიული მეთოდები:

Anti HCV-ზე სკრინინგისათვის ვიყენებდით მე-3 გენერაციის Ortho HCV version 3.0 ELISA(Gohnson-Gohnson, USA) ტესტ-ნაკრებს.

HBsAg-ზე სკრინინგისათვის ვიყენებდით HBsAg Ultra ELISA (Dia.Pro, Italy) ტესტ-ნაკრებს.

HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრისათვის ვიყენებდით COBAS® TaqMan® HCV Test v2.0, With The High Pure System (Roche Diagnostics, Germany).

HCV გენოტიპირებისა და სუბტიპირებისათვის ვიყენებდით Versant HCV Genotype2.0 (LIPA) (Innogenetics, Belgium).

IL28b-ს განსაზღვრისათვის ვიყენებდით IL28b rs12979860 Real-TM Test (Sacace Biotechnologies, Italy).

შრატში IP-10-ის დონის განსაზღვრისათვის ვიყენებდით Human IP-10 ELISA (Invitrogen, Camarilo CA) ტესტ-ნაკრები, REF-KAC2361.

ღვიძლის ფიბროზის ხარისხის განსაზღვრისათვის ვიყენებდით ფიბროსკანს (Echosens, France). თვითოეული პაციენტისათვის მედიანური მნიშვნელობა ისაზღვრებოდა კილოპასკალებში (kPa) და ფასდებოდა METAVIRE სისტემით.

ცხრილი №3. კვლევაში ჩართული პაციენტების ბაზისური მონაცემები (n = 178).

კატეგორია	მონაცემი
პაც. რაოდენობა (ჯამი)	178
ქრონიკული HCV მონონფიცირებულები (ჯგუფი 1)	85
მწვავე HCV მონონფიცირებულები (ჯგუფი 2)	11
HIV/HCV(ქრონიკ.) კო-ინფიცირებულები (ჯგუფი 3)	57
HIV/HCV(მწვავე) კო-ინფიცირებულები (ჯგუფი 4)	7
საკონტროლო-ჯანმრთელი (ჯგუფი 5)	18
სქესი, მამაკაცი/ქალი	129/49
ასაკი, საშუალო, წელი	38 ± 8
BMI, საშუალო	25.6 ± 4
ღვიძლის დაზიანების ხარისხი, საშუალო (kPa)	(8.8 ± 0.7)

კვლევებში გამოყენებული ლაბორატორიული მეთოდები

იმუნოფერმენტული ანალიზი (anti HCV, anti HIV1/2, HBsAg-იდენტიფიცირებისათვის)

საკვლევი მასალა:

შრატის, პლაზმა.

მასალის შეგროვება, დამუშავება:

კვლევის მონაწილისაგან ხდება 5 მლ ვენური სისხლის აღება 6 მლ-იან ვაკუუმ სინჯარაში(დანამატების გარეშე). სისხლის აღებიდან 4 საათის შუალედში,

ხდება შრატის გამოყოფა ოთახის ტემპერატურაზე, 1,500xგ-ზე 20წთ-ის განმავლობაში ცენტრიფუგირებით. გამოყოფილი შტარი გამოიყენება სეროლოგიური ტესტირებისათვის, ან ხდება მისი ალიკოტირება კრიოსინჯარებში და -80°C -ზე შენახვა.

იმუნოფერმენტული ანალიზის პრინციპი:

იმუნოფერმენტული ანალიზი დაფუძნებულია ე.წ. “სენდვიჩ” პრინციპზე. ანტისხეულის კვლევის შემთხვევაში (anti HCV, anti HIV1/2), სარეაქციო პლანშეტზე აბსორბირებულია სპეციფიური რეკომბინანტული ანტიგენები. იმ შემთხვევაში, თუ საკვლევი ნიმუში შეიცავს ვირუსის საწინააღმდეგო სპეციფიურ ანტისხეულებს, ხდება ანტიგენ-ანტისხეულის კომპლექსის(მყარი ფაზა) წარმოქმნა. თუ ვიკვლევთ ანტიგენს(HBsAg) პირიქით, პლანშეტზე აბსორბირებულია ვირუს სპეციფიური მონოკლონური ანტისხეულები და საკვლევი ანტიგენის შრატში არსებობის შემთხვევაში წარმოიქმნება ზემოთ ხსენებული მყარი ფაზა. იმუნოფერმენტული მეთოდი კოლორიმეტრულია, შესაბამისად ანალიზის დასრულებისას ფერის წარმოქმნა, მიუთითებს საკვლევი ნიმუშის დადებით შედეგზე ამა თუ იმ გამომწვევის მიმართ.

გამოკვლევის სარეაქციო ეტაპები:

- კონტროლებისა და ნიმუშების გადატანა პლანშეტზე.
- ინკუბაცია-დრო და ტემპერატურა ინსტრუქციის მიხედვით.
- გარეცხვა 3 ჯერ, ყოველ მომდევნო ეტაპზე გადასვლის წინ.
- სპეციფიური კონიუგატის დამატება.
- შეუბოჭავი კონიუგატის მოშორების შემდეგ სუბსტრატის დამატებით ანტიგენ/ანტისხეულის კომპლექსის გამოვლენა.
- რეაქციის გაჩერება გოგირდმუავას დამატებით.
- ოპტიკური სიმკვრივის გაზომვა სპექტროფოტომეტრის შესაბამის ტალღის სიგრძეზე და შედეგების ინტერპრეტაცია.

საკვლევი ანტიგენის და/ან ანტისხეულის არსებობის განსაზღვრის შესაძლებლობას აბსორბციის გაზომვა იძლევა. შეფერილობის ინტენსივობა მყარ ფაზაზე შებოჭილი ანტიგენის და/ან ანტისხეულის რაოდენობის პროპორციულია.

ლაბორატორიული კვლევის მოლეკულური მეთოდები

ჩვენს კვლევაში გამოყენებული ყველა მოლეკულური მეთოდისათვის (HCV თვისობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრა, HCV გენოტიპირება, IL28B გენოტიპირება) საჭიროა ვირუსული რნმ-ის გამოყოფა(ექსტრაქცია).

ვირუსული რნმ-ის ექსტრაქცია:

საკვლევი მასალა: შრატ/პლაზმა.

მასალის შეგროვება, დამუშავება:

კვლევის მონაწილისაგან ხდება 5 მლ ვენური სისხლის აღება 6 მლ-იან EDTA-ს შემცველ ვაკუუმ სინჯარაში. სისხლის აღებიდან 4 საათის შუალედში, ხდება პლაზმის გამოყოფა ოთახის ტემპერატურაზე, 1500xg-ზე 20 წთ-ის განმავლობაში ცენტრიფუგირებით. გამოყოფილი პლაზმა გამოიყენება ვირუსული რნმ-ის გამოსაყოფად, პლაზმა ინახება 2-8⁰C-ზე 3 დღის განმავლობაში, ხანგრძლივი შენახვის მიზნით ხდება მისი ალიკოტირება კრიოსინჯარებში და -80⁰C-ზე შენახვა.

ჩვენს კვლევებში გამოვიყენეთ HCV რნმ-ის გამოყოფის ორი მეთოდი: მანუალური და ავტომატური.

1) ვირუსული რნმ-ის ექსტრაქცია მანუალურად *High Pure Viral Nucleic Acid Kit(Roche Diagnostics, Germany)*–ის გამოყენებით.

პროცესი მიმდინარეობდა მწარმოებლის ინსტრუქციის მიხედვით და მოკლედ ასე გამოიყურებოდა: ვანზავებთ ლიოფილიზირებულ CAR-რნმს და პროტეინაზა K-ს, 500მკლ და 5მლ ელუშენის ბუფერის დამატებით. შემდეგ მზადდება სამუშაო ლიზის რეაგენტი:

რეაგენტი	ნიმუშის რაოდენობა	
	12	24
ლიზისის ხსნარი	7 მლ	14 მლ
მზა CAR-რნმ	140 მკლ	280 მკლ
მზა პროტეინაზა K	1 400 მკლ	2800 მკლ
შიდა კონტროლი (QS)	112 მკლ	224 მკლ

ტესტ-ნაკრებში შემავალ გამჭვირვალე (№1) რეზერვუარის თითოეულ ფოსოში გადაგვაქვს 625 მკლ ზემოთ აღწერილი წესით დამზადებული სამუშაო ლიზის რეაგენტი და 500 მკლ პლაზმა თითოეული პაციენტისათვის. ყოველი ექსტრაქციისას ვიყენებთ მინიმუმ სამ კონტროლს(ნეგატივი კონტროლი, სუსტი დადებითი კონტროლი და ძლიერ დადებითი კონტროლი), რომლებიც სინჯების პარალელურად გადის ექსტრაქციის ყველა ეტაპს. შერევის შემდგომ, რეზერვუარებს 10 წთ-ის განმავლობაში ვათავსებთ თერმოსტატში 50°C-ზე.

ინკუბაციის გასვლის შემდეგ, თითოეულ სინჯს ემატება 250 მკლ იზოპროპილის სპირტი.

გამჭვირვალე რეზერვუარებში მოთავსებული სითხის მასა ორ ეტაპად გადაგვაქვს ტესტ-ნაკრების ყვითელ რეზერვუარებში (№2), რომელიც შეიცავს სპეციალურ ფილტრებს თითოეული სინჯისათვის. შედეგებში ყვითელ პლანშეტებს ვაცენტრიფუგებთ პლანშეტურ ცენტრიფუგაში ორ-ორი წუთით 4600 xg-ზე.

თითოეულ სინჯს ემატება 400 მკლ ინჰიბიტორის მოსაცილებელი ხსნარი და კვლავ ხდება ცენტრიფუგირება 2 წთ-ით.

გარეცხვის ეტაპზე, თითოეულ სინჯს ორჯერ ემატება 700 მკლ 100% ეთანოლის შემცველი გამრეცხი ხსნარი. გარეცხვებს შორის ხდება ცენტრიფუგირება 2-2 წთ-ით.

შემდეგ ეტაპზე №2 ყვითელ რეზერვუარს უმაგრდება ცისფერი(№3) რნმ/დნმ შესაგროვებელი რეზერვუარი.

თითოეულ სინჯს ემატება 75 მკლ თერმობლოკში 70°C-ზე წინასწარ გამთბარი ელუშენ ბუფერი. 5 წუთი დაყოვნების და 3 წუთი ცენტრიფუგირების შედეგად ვიღებთ 75 მკლ HCV რნმ-ს.

2) ვირუსული რნმ-ის ექსტრაქცია ავტომატურად, ექსტრაქტორ EasyMag bioMerieux გამოყენებით.



პროცესი მიმდინარეობდა მწარმოებლის ერთ-ერთი პროტოკოლის მიხედვით და მოკლედ ასე გამოიყურებოდა: საექსტრაქციო პლათფორმაზე, ერთჯერად რეზერვუარში გადაგვაქვს 500 მკლ საკვლევი ნიმუში ან კონტროლი და 10 მკლ შიდა კონტროლი – IC/QS, რომელიც განკუთვნილია ექსტრაქციის ვალიდურად წარმართვის მონიტორინგისათვის.

აპარატი ახდენს ავტომატურად 2 მლ ლიზისის ხსნარის დამატებას თითოეულ სინჯზე და 10 წუთი ინკუბაციას.

შემდეგ ეტაპზე, თითოეულ სინჯს მანუალურად ემატება კარგად არეული მაგნიტური სილიკა. ექსტრაქციის პროცესი გრძელდება ავტომატურ რეჟიმში, 45 წთ-ის განმავლობაში და მიიღება 75 მკლ HCV რნმ-ი.

HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა რეალური დროის პჯრ მეთოდით

სისხლში C ჰეპატიტის ვირუსის რაოდენობის განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ The COBAS® TaqMan® HCV Test, v2.0 ნაკრები, ექსტრაქციისათვის – High Pure Viral Nucleic Acid Kit ნაკრები. აღნიშნული ტესტი გამოირჩევა მაღალი მგრძობელობით (დეტექციის ქვედა ზღვარი-8 Iu/ml; დეტექციის დათვლადი ქვედა ზღვარი 25 Iu/ml) და გააჩნია CE-IVD მარკირება.

ჩვენს კვლევაში, ვირუსის ამპლიფიკაციის და დეტექციის პროცესი მიმდინარეობდა მწარმოებლის ინსტრუქციის მიხედვით და მოკლედ ასე გამოიყურებოდა:

ამპლიფიკაციის რეაგენტის (სამუშაო MMX-ის) მომზადება – ყოველ ჯერზე პაციენტებთან ერთად იდგმება სამი კონტროლი (უარყოფითი კონტროლი, სუსტი დადებითი და ძლიერ დადებითი კონტროლები). თითოეული სინჯისათვის საჭიროა 50 მკლ მზა სამუშაო MMX, რომელიც შემდეგი თანაფარდობით მზადდება – 44,6

მკლ MMX-ს ემატება 5,4 მკლ CTM Mn² ხსნარი და ვორტექსდება. შემდეგ ეტაპზე ხდება 50მკლ მზა სამუშაო MMX-ზე პაციენტის სისხლიდან უკვე გამოყოფილი 50 მკლ რნმ-ის და კონტროლების დამატება და აპარატ TaqMan 48 RT PCR სისტემში (სურათი №9) გადატანა ამპლიფიკაციისა და ავტომატურ რეჟიმში დეტექციისათვის.


(სურ. №9) COBAS TaqMan 48 RT PCR System(Roche)



შედეგების ინტერპრეტაცია:

სინჯებისა და კონტროლების შედეგების ინტერპრეტაციას ახდენს აპარატი Cobas TaqMan 48. სინჯში ამპლიფიცირებული ვირუსის გენეტიკური მასალის აღქმა ასოცირდება ფლურესცენტულ სიგნალთან, რომელიც გამოისახება სიგმოიდურ გრაფიკში (სურათი №10).

(სურ. №10).




HCV-QS, იგივე შიდა კონტროლი, რომელიც ჯერ კიდევ ექსტრაქციის საწყის ეტაპზე ემატება, იძლევა საშუალებას მოვახდინოთ ტესტირების მიმდინარეობის სრული ციკლის მონიტორინგი ნუკლეინის მუკავების ექსტრაქციიდან პჯრ ამპლიფიკაციამდე. განისაზღვროს შესაძლო ინჰიბირება, შემოწმდეს რნმ-ის დანაკარგი ზუსტი შედეგების მისაღებად.

ცდის ზღვრული ციკლის ვალიდური პარამეტრები გამოითვლება ავტომატურად, ყოველი კონკრეტული რეაქციისათვის.

ყოველი რეაქციისათვის აუცილებელია სამივე კონტროლი (უარყოფითი, სუსტი დადებითი და ძლიერ დადებითი), ჩაჯდეს მწარმოებლის მიერ, კონკრეტული ლოტისათვის განსაზღვრულ რაოდენობრივ ჩარჩოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ რეაქციაში შემაჯავალი ყველა საკვლევი ნიმუშის შედეგი არავალიდურია და საჭიროებს რეტესტირებას.


თუ სინჯი უარყოფითია (არ არის HCV რნმ-ი), უნდა დაფიქსირდეს მხოლოდ QS-ის ფლურესცენტული სიგნალი ამპლიფიკაციის კონკრეტულ ციკლზე (სურათი №11).

(სურ. №11).



თუ სინჯი დადებითია, ფიქსირდება როგორც სამიზნის (HCV რნმ-ი), ასევე შიდა კონტროლის (QS) ამპლიფიკაცია და ხდება რნმ-ის რაოდენობრივი დათვლა ავტომატურ რეჟიმში (სურათი №12). შედეგები გამოისახება IU/ml-ში.

(სურათი №12).



თუ სინჯში ვირუსული ერენები დაბალი კონცენტრაციითაა, კონკრეტულად < 25 IU/ml-ზე, მისი რიცხობრივი დათვლა ვერ ხერხდება, თუმცა სინჯი ითვლება დადებითად.

თუ სინჯში საერთოდ არ არის შიდა კონტროლის ამპლიფიკაცია, ან მისი ფლურესცენტული სიგნალი განსაზღვრულ ციკლზე ადრე ან გვიან მოდის, ასეთი სინჯი არ კალკულირდება აპარატის მიერ და საჭიროებს გამეორებას ექსტრაქციის ეტაპიდან.

HCV გენოტიპირება და სუბტიპირება

HCV გენოტიპირებისა და სუბტიპირებისათვის გამოვიყენეთ VERSANT HCV Genotype 2.0 Lipa (Innogenetics, ბელგია). ტესტი განკუთვნილია იმ ვიტრო დიაგნოსტიკისათვის, ითვლება ოქროს სტანდარტად და გააჩნია CE-IVD მარკირება. აღნიშნული ტესტი ადამიანის შრატის ან პლაზმის ეთილენდიამინტეტრაჰიდროქლორიდის გამოყენებით ახდენს C ჰეპატიტის ვირუსის 1-დან 6-მდე გენოტიპისა და მათი სუბტიპების იდენტიფიცირებას, რისთვისაც გამოყენებულია პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციისა და ჰიბრიდიზაციის მეთოდები. გენეტიკური ტიპების გამოსავლენად ტესტი იყენებს C ჰეპატიტის ვირუსის სტრუქტურული გენის 5' არატრანსლირებად (5' UTR) უბანს და ბირთვის (Core) უბანს.

ჩვენს კვლევაში გენოტიპირების პროცესი მიმდინარეობდა მწარმოებლის ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც სამი ძირითადი ეტაპისაგან შედგება: ექსტრაქცია, ამპლიფიკაცია და დეტექცია.

ექსტრაქცია

ნუკლეინის მუავის პლაზმის მატრიციდან გამოსაცალკევებლად გამოვიყენეთ 52-54 გვ აღწერილი ვირუსული რნმ-ის ექსტრაქციის პროტოკოლები.

ამპლიფიკაცია

ექსტრაქციის შედეგად მიღებული HCV რნმ-ის რევერს ტრანსკრიპციისა და ამპლიფიკაციისათვის, ტესტ-ნაკრებში შემაჯავლი ENZ MIX და AMP MIX-საგან ვამზადებთ სამუშაო მასტერ-მიქსს, რომელიც შეიცავს სპეციფიურ პრაიმერებს რნმ-ის კომპლემენტარულ დნმ-ად(cDNA) გარდასაქმნელად:

10 სინჯისათვის	N რაოდენობის სინჯისათვის
ერთ ფლაკონ ENZ MIX-ს დაამატეთ 290 მკლ AMP MIX	N x 26 მკლ AMP MIX-ს დაამატეთ N x 4მკლ ENZ MIX

შემდეგ, თითოეული სინჯისათვის 30 მკლ მზა მასტერ-მიქსს ემატება 20 მკლ HCV რნმი. სინჯი იღება თერმოციკლერში GeneAmp® PCR System 9700 Applied Biosystems (სურათი №13), სპეციალურ პროგრამაზე.

თერმოციკლერის დასაპროგრამირებელი ტემპერატურული რეჟიმი:

საფეხური	ტემპერატურა	ხანგრძლივობა
რევერს ტრანსკრიფცია	50° ± 0,5°C	30 წთ
პჯრ აქტივაცია	95° ± 0,5°C	15 წთ
დენატურაცია	95° ± 0,5°C	30 წამ
ენნილინგი	50° ± 0,5°C	30 წამ
ექსტენცია	72° ± 0,5°C	15 წამ
საფეხურების 39-ჯერ გამეორება	40 ციკლი	
ფინალური ექსტენცია/ელონგაცია	72° ± 0,5°C	2 წთ
გაჩერება	4° ± 0,5°C	2 სთ ან შენახვა - 20°C

დადებითი და უარყოფითი კონტროლი გადის ყველა ეტაპს, ნუკლეინის მუავის პლაზმის მატრიციდან გამოცალკეებიდან გენოტიპის დეტექციამდე.

(სურ. №13) GeneAmp® PCR System 9700 Applied Biosystems



ამპლიფიკაციის შედეგად მიიღება ამპლიკონი, რომელიც საჭიროებს დეტექციის ეტაპს.

დეტექცია

დეტექციისათვის განკუთვნილი რეაქტივების მომზადება:

- თითოეული სინჯისათვის მზადდება 8 მლ 1 : 5 განზავების რინსის ხსნარი.
- კონიუგატის ხსნარი თითოეული სინჯისათვის მზადდება 2 მლ 1 : 100 განზავებით.
- სუბსტრატის ხსნარი მზადდება 2 მლ თითოეული სინჯისათვის 1 : 100 განზავებით.

ერთჯერადი კონტეინერის თითოეულ ფოსოში, თითოეული სინჯისათვის იდება ნიტროცელოლოზას სტრიპი. შემდეგ ემატება 10 მკლ DENAT SOLN და 10 მკლ ამპლიფიკაციის პროდუქტი. დეტექცია მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში, რისთვისაც გამოიყენება აპარატი Auto-LiPA48 INNOGETETICS (სურ. №14).


(სურ. №14). Auto-LiPA48 INNOGETETICS



შედეგების ინტერპრეტაცია:

დეტექციის ეტაპის დამთავრების შემდეგ, სტრიპზე გამოისახება რომელიმე გენეტიკური ტიპისათვის დამახასიათებელი სურათი. გენოტიპის იდენტიფიცირება ხდება მწარმოებლის მიერ მოწოდებული READING CARD-ისა და INTERPRETATION CHART-ის გამოყენებით.

(სურ. №15) READING CARD




სტრიპზე გამოხატული პირველი ხაზი შეესაბამება კონიუგატის კონტროლს. თუ აღნიშნული ხაზი არ არის შედეგი ინვალიდია.

სტრიპზე არსებული მე-2 ხაზი შეესაბამება ამპლიფიკაციის კონტროლს. თუ ის არის გამოხატული ნიშნავს, რომ მოხდა 5' UTR რეგიონის ამპლიფიკაცია.

სტრიპზე არსებული 23-ე ხაზი შეესაბამება ამპლიფიკაციის მეორე კონტროლს. თუ ის გამოსახულია, ე.ი. მოხდა Core რეგიონის ამპლიფიკაცია.

INTERPRETATION CHART-ი შედგება “ა” და “ბ” ნაწილებისაგან. ”ა” ნაწილი გამოიყენება 1 და მე-6 გენოტიპების შესაფასებლად, სადაც Core რეგიონის ამპლიფიკაციის არსებობის შემთხვევაში ინტერპრეტაციისას უპირატესობა Core-ით შეეფასებას ენიჭება. “ბ” ნაწილი გამოიყენება 2-5 გენოტიპების იდენტიფიცირებისათვის, რისთვისაც მხოლოდ 5' UTR რეგიონი გამოიყენება.

(სურ. №16).



IL28B გენოტიპირება

IL28B გენოტიპირებისათვის გამოვიყენეთ ალელების დისკრიმინაციის მეთოდი. Rs12979860 უმბანში ერთეული ნუკლეოტიდების პოლიმორფიზმის დასადგენად საჭიროა გენომური დნმ-ის გამოყოფა, ამპლიფიკაცია და დეტექცია, ვალიდირებული პროტოკოლის მიხედვით.

დნმ-ის გამოსაყოფად გამოვიყენეთ ექსტრაქციის 52-54 გვ. აღწერილი პროტოკოლები.

ამპლიფიკაციისა და დეტექციისათვის გამოვიყენეთ რეალური დროის პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის სისტემა Applied Biosystems 7500 RT PCR System.

(სურ. №17) RT PCR System 7500, Applied Biosystems



თითოეული სინჯისა და კონტროლისათვის(CC; CT; TT) 5მკლ დნმ-ს ემატება 20 მკლ სამუშაო მასტერ-მიქსი. ამპლიფიკაციისა და დეტექციის პროცესის ავტომატურ რეჟიმში წარსამართად ნარევი გადაგვაქვს აპარატში, შესაბამის პროგრამაზე.

სამუშაო მასტერ-მიქსის მომზადება:

გამოყენებული რეაგენტები:

- პრაიმერი 1 (PR-For) ნუკლეოტიდების შემდეგი თანმიმდევრობით 5'- GCCTGTCGTGTAAGTGAACCA-3'.
- პრაიმერი 2 (PR-Rev) ნუკლეოტიდების შემდეგი თანმიმდევრობით 5'-GCGCGGAGTGCAATTCAAC-3'.
- ალელსპეციფიური Taqman Minor Groove Binding პრობი 1 (VIC) C ალელისათვის თანმიმდევრობით – TGGTTCGCGCCTT.
- ალელსპეციფიური Taqman Minor Groove Binding პრობი 2 (FAM) C ალელისათვის თანმიმდევრობით – CTGGTTCACGCCTTC.
- AB გენოტიპირების მასტერმიქსი(GMM).

- ულტრასუფთა წყალი.

რეაგენტი	ნიმუშის რაოდენობა	
	1	4
PR-For	0,75 მკლ	3 მკლ
PR-Rev	0,75 მკლ	3 მკლ
VIC	0,125 მკლ	0,5 მკლ
FAM	0,125 მკლ	0,5 მკლ
GMM	12,5 მკლ	50 მკლ
ულტრასუფთა წყალი	5,75 მკლ	23 მკლ


RT PCR System 7500-ის დასაპროგრამირებლად გამოყენებული ტემპერატურული რეჟიმი:

ტემპერატურა	ხანგრძლივობა
50° ± 0,5°C	2 წთ
95° ± 0,5°C	10 წთ
40 ციკლი	
95° ± 0,5°C	15 წამ
65° ± 0,5°C	60 წამ
ამპლიფიკაციის სიგნალის წაკითხვა	
65° ± 0,5°C	∞

შედეგების ინტერპრეტაცია:

AB 7500-ის პროგრამული ანალიზის შედეგად ხდება შედეგების გრაფიკული გამოსახვა (სურ. №18). C/C გენოტიპის მქონე პაციენტის ნიმუშები თავსდება C ღერძის გასწვრივ, T/T გენოტიპის მატარებელი პაციენტების ნიმუშები ლაგდება T ღერძის გასწვრივ, ხოლო C/T გენოტიპის მქონე სინჯები განლაგდება შუაში, დიაგონალის გასწვრივ.

(სურ. №18) IL28B-ს გარაფიკული გამოსახულება



IP-10 განსაზღვრა

კვლევაში მონაწილეთა სისხლში გამა ინტერფერონ მაპროდუცირებელი პროტეინი 10 kDa (IP-10) დონის განსაზღვრად გამოვიყენეთ Human IP-10 ELISA (Invitrogen, Camarilo CA) ტესტ-ნაკრები, REF-KAC2361.



პროცესი მიმდინარეობდა მწარმოებლის ინსტრუქციის მიხედვით და მოკლედ ასე გამოიყურებოდა:

- 50 მკლ პაციენტის შრავტი ან პლაზმა, კონტროლები და სტანდარტები გადაგვაქვს შესაბამის ფოსოებში, რომლებიც ამოფენილია Hu IP-10-ის მიმართ სპეციფიური მონოკლონალური ანტისხეულებით, შემდეგ ემატება 50 მკლ ბიოტინილირებული კონიუგატი, ინკუბაცია 3 სთ ოთახის ტემპერატურაზე (RT). ამ ინკუბაციის დროს Hu IP-10 ანტიგენი უკავშირდება ფოსოში იმობილიზირებულ ანტისხეულის ერთ მხარეს, ანტისხეულის მეორე მხარეს, ბიოტინიზირებული ანტისხეულები უკავშირდება.
- გარეცხვების (4X) ეტაპის შემდეგ, რომლის შედეგად ხდება ზედმეტი, მეორადი ანტისხეულების მოცილება, თითოეული ფოსოს ემატება 100 მკლ ენზიმი(სტრეპტოვიდინ-პეროქსიდაზა). ინკუბაცია 30წთ RT-ზე. ამ დროს

ხდება ბიოტინილირებული ანტისხეულების მიმაგრება და ოთხკომპონენტიანი ე.წ. სენდვიჩის წარმოქმნა.

- მეორე გარეცხვების (4X) ეტაპის შემდეგ, რომლის დროსაც ხდება ზედმეტი ენზიმის ჩამორეცხვა, ემატება 50 მკლ სუბსტრატის ხსნარი და 30 წთ სიბნელეში, RT-ზე ხდება დაყოვნება. ამ დროს წარმოიქმნება ლურჯი შეფერილობა, რომლის ინტენსივობა პირდაპირპროპორციულია IP-10-ის კონცენტრაციის (სურ. №19).
- რეაქციის გასაჩერებლად ემატება 100 მკლ გოგირდმუავას ხსნარი. შედეგების დათვლა ხდება 450 ნმ-ზე. კონკრეტული სინჯისათვის IP-10-ის რაოდენობის გამოთვლა ხდება სინჯის ოპტიკური სიმკვრივის მაჩვენებლის მისადაგებით, სტანდარტებისაგან აგებულ მრუდთან, რომელიც მინიმუმ ოთხი სტანდარტისაგან უნდა იყოს აგებული. ტესტის მგრძობელობა $<2\text{ng/mL}$.

(სურ. №19-20)



ბიოქიმიური გამოკვლევები

ჩვენს კვლევებში, ღვიძლის ფუნქციური ტესტებისა და სხვა ბიოქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრისათვის ვიყენებდით სრულად ავტომატურ, მაღალი სიზუსტის აპარატ COBAS® INTEGRA 400 plus-ს (სურ. №21).

(სურ. №21) COBAS® INTEGRA 400 plus.



ნაშრომში გამოყენებული ყველა ლაბორატორიული გამოკვლევა ჩატარდა მწარმოებლის ინსტრუქციის მიხედვით.

ღვიძლის ელასტოგრაფია

ღვიძლის ფიბროზისა და ციროზის შესაფასებლად, ჩვენს კვლევებში გამოვიყენეთ უახლესი, ყველაზე ზუსტი და არაინვაზიური მეთოდი, ღვიძლის ელასტოგრაფია, აპარატ ფიბროსკანის გამოყენებით (სურ.№22). მისი საშუალებით ავტომატურად ანგარიშდება ღვიძლის სიმკვრივე (კილოპასკალებში) და ფიბროზის ხარისხის კოეფიციენტი (მეტავირის შკალით).

(სურ.№22)



ხარისხის კონტროლი

ხარისხის კონტროლის მიზნით HCV ვირუსული დატვირთვის ყველა ანალიზში გამოიყენებოდა ერთი უარყოფითი (NC) და ორი დადებითი კონტროლი (LPC და HPC). უარყოფითი კონტროლი წარმოადგენდა HCV ნეგატიურ ადამიანის პლაზმას, LPC კონტროლი დაბალი ვირუსული დატვირთვის სინთეზურ სინჯს დეტექციის ზღვარით (76 IU/mL – 1,140 IU/mL), ხოლო HPC მაღალი ვირუსული დატვირთვის სინთეზურ სინჯს დეტექციის ზღვარით (950,000 IU/mL – 11,400,000 I/ml).

სტატისტიკური ანალიზი

სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა პროგრამა SAS 9.2 მეშვეობით (SAS Institute Inc, Cary, NC, USA). საკვლევი მასალის დამუშავებისათვის გამოვიყენეთ უნივარიაციული ანალიზი. სტატისტიკური სარწმუნოება განისაზღვრა როგორც p სიდიდე <0.05 .

ეთიკური კომისიის ნებართვა

კვლევებზე ნებართვა (IRB) გასცა ს.ს. ინფექციური პათოლოგიის შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრისა და ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის ეთიკურმა კომისიებმა. პაციენტებისაგან მიღებულია წერილობითი ინფორმირებული თანხმობა.

შედგები

კვლევა 1 შედეგები:

მწვავე/ახალი HCV ინფექციის გამოსავლენად სულ გამოვიკვლიეთ 7600 სისხლის დონორი და 3600 HCV სერონეგატიური IDUs. მათ შორის 7 (0,09%) სისხლის დონორს და 10 (0,28%) IDUs-ს განესაზღვრათ HCV რნმ, რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ ამ პირებს აქვთ ახალი/მწვავე HCV ინფექცია.

ახალი/მწვავე HCV ინფექციით ინფიცირებული 17 პაციენტის ბაზისური მახასიათებლები მოყვანილია ცხრილი №4-ში.

(ცხრილი №4). ახალი/მწვავე HCV ინფიცირებული პაციენტების ბაზისური მონაცემები (n=17).

	საერთო რაოდენობა (n=17)	სპონტანურად განკურნებულები (n=4)	პაციენტები ქრონიკული ინფექციით (n=13)
ასაკი, საშუალო ასაკი (დიაპაზონი)	31 (22-39)	30 (22-31)	32 (24-39)
სქესი, n (%)			
კაცი	15	3 (20.0)	12 (80.0)
ქალი	2	1 (50.0)	1 (50.0)
HCV-ს გადაცემის საგარაუდო გზა, n (%)			
ნარკ. ინტრავენ. მომხ.	12	2 (16.7)	10 (83.3)
სქესობრივი კონტაქტი	1	1 (100.0)	0 (0.0)
გაურკვეველი	4	1 (25.0)	3 (75.0)
HCV გენოტიპი, n (%)			
გენოტიპი 1a	1		1 (100.0)
გენოტიპი 1b	9	2 (22.2)	7 (77.8)
გენოტიპი 2a/2c	3	1 (33.3)	2 (66.7)
გენოტიპი 3a	4	1 (25.0)	3 (75.0)

ახალი/მწვავე HCV ინფექციით ინფიცირებულთა უმრავლესობა მამაკაცია (88.2%), რომელთა საშუალო ასაკი 31 წელია. მათგან 12 პაციენტის ინფიცირების წყარო (2 სისხლის დონორის ჩათვლით) არის ნარკოტიკების ინექციურად მოხმარება (70,6%), ერთი პაციენტი დაინფიცირდა სქესობრივი გზით (5,9%). 4 პირის ინფიცირების გზა დაუდგენელია (23,5%). ახალი/მწვავე HCV ინფექციით ინფიცირებულთა 59%-ს აქვს HCV 1 გენეტიკური ტიპი. პაციენტთა 17,5%-ს აქვს მე-2 გენოტიპი და 23,5%-ს მე-3 გენოტიპი. 24 კვირიანი დაკვირვების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თვითგანკურნება მოხდა ამ 17 პაციენტიდან 4-ში (23,5%), დარჩენილ 13 პაციენტს განუვითარდა ქრონიკული C ჰეპატიტი.


ზემოაღნიშნული კვლევებმა გამოავლინა ახალი/მწვავე ინფექციის ხუთი კლინიკური ფორმა (სურ. №23).

გამოვლენილი იქნა სიმპტომურად მიმდინარე დაავადების ორი ფორმა (სურ. №23). სამ პაციენტში დაავადება იყო მანიფესტირებული სხვადასხვა კლინიკური ნიშნებით (დაღლილობა, სისუსტე, გულისრევა, ცხელება, ართრალგია) და სიყვითლით; ერთ პაციენტს ქონდა დაავადების კლინიკური ნიშნები სიყვითლის გარეშე. პაციენტებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ დაავადების კლინიკური ნიშნები გამოვლინდა დაკვირვების 4-8 კვირაზე. ოთხივე სიმპტომურ პაციენტში აღინიშნებოდა ALT-ს მომატებული დონე. პიკური მედიანური სიდიდით 1218 IU/l (დიაპაზონი: 410-2050). ასევე, ოთხივე პაციენტში მომატებული იყო ბილირუბინი (საშუალოდ 3.6 – 8.0 მგ/დლ). ბილირუბინის მაჩვენებლის პიკი დაფიქსირდა სიყვითლიან პაციენტში, უსიყვითლოდ მიმდინარე სიმპტომურ პაციენტებში ბილირუბინის ყველაზე მაღალმა მაჩვენებელმა შეადგინა 1.8 მგ/დლ.

ყველა იმ პირში, სადაც მოხდა C ჰეპატიტის ვირუსის მიმართ ანტისხეულების გამოჩენა, სეროკონვერსია საშუალოდ 6 კვირაზე განისაზღვრა (დიაპაზონი 3 – 10 კვირა). ზემოაღნიშნული ოთხი სიმპტომური პაციენტიდან, 2-ში სპონტანურად მოხდა თვითგამოჯანმრთელება. აქედან პაციენტი რომელსაც ქონდა 1b გენოტიპი, ქლირენსი(ვირუსისაგან განთავისუფლება) დაფიქსირდა მე-12 კვირაზე. მე-2 პაციენტში, რომელსაც ქონდა 2a/2c გენოტიპი, ვირუსის რნმ-ი განუსაზღვრელი 24-ე კვირაზე გახდა.

ცამეტ პირში, სადაც მწვავე/ახალი ინფექცია მიმდინარეობდა ასიმპტომურად გამოვლინდა დაავადების სამი განსხვავებული კლინიკური და ლაბორატორიული ვარიანტი (სურ. №23):

(სურ. №23). ახალი/მწვავე HCV ინფექციის კლინიკურ-ლაბორატორიული ვარიანტები (n=17)



პირველ ჯგუფში, რომელიც შედგებოდა 9 პირისაგან აღინიშნებოდა ALT დონის მომატება (პიკური მედიანური სიდიდით 957 IU/l [დიაპაზონი: 220 – 1685]). სამ პაციენტში ბილირუბინი იყო მცირედ მომატებული, არაუმეტეს 2 მგ/დლ. ცხრავე პაციენტში მოხდა anti HCV სეროკონვერსია და განვითარდა ქრონიკული ჰეპატიტი.

მეორე ჯგუფს შეადგენდა ორი უსიმპტომო პაციენტი, სადაც მოხდა სეროკონვერსია და განვითარდა ქრონიკული ჰეპატიტი, ადგილი არ ქონია ALT-ს ან ბილირუბინის მომატებას დაკვირვების მთელი პერიოდის განმავლობაში (სურ. №23). ამრიგად, ორ პაციენტში ისე განვითარდა ქრონიკული C ჰეპატიტი, რომ დაკვირვების მთელი პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა არც კლინიკური და არც ლაბორატორიული ჰეპატიტის სურათი.

თერთმეტივე უსიმპტომო პაციენტში სეროკონვერსიის მედიანურმა პერიოდმა შეადგინა 6 კვირა (დიაპაზონი: 3 -18).


მესამე ჯგუფს შეადგენდა ორი უსიმპტომო პაციენტი, მათში ისე მოხდა ვირუსისაგან ელიმინაცია, რომ არ მოუმატია ALT-ს და არ მომხდარა სეროკონვერსია (სურ. №23). მათშორის პაციენტი, რომელიც ინფიცირებული იყო 1b გენოტიპით ვირუსული რნმ-ი მე-2 კვირაზე იყო არაგანსაზღვრადი. მე-2 პაციენტში კი, რომელიც 3a გენოტიპით იყო ინფიცირებული მე-4 კვირაზე მოხდა ელიმინაცია.

ორივე პაციენტის პლაზმაში 24-ე კვირაზე HCV ანტისხეულები და რნმ-ი იყო არადეტექტაბელური. შესაბამისად ეს ორი შემთხვევა შეფასდა როგორც ტრანზიტორული/გარდამავალი HCV ვირემიის შემთხვევა.

HCV ვირუსული დატვირთვის დინამიკის შესწავლამ აჩვენა, რომ ტრანზიტორული/გარდამავალი ვირემიით პაციენტებს ქონდათ ყველაზე დაბალი საწყისი ვირუსული დატვირთვის მაჩვენებელი. პირველ პაციენტს ჰქონდა – 3.68 log₁₀ IU/ml და ვირუსისაგან ელიმინაცია მოხდა 2 კვირაზე. ხოლო მე-2 პაციენტს 3.92 log₁₀ IU/ml და ვირუსისაგან კლირენსი 4 კვირაზე მოხდა. (დიაგრამა № 14). ასევე, დარჩენილ ორ პაციენტში, რომლებშიც ასევე მოხდა ვირუსის ელიმინაცია, ვირუსული დატვირთვის საწყისი მაჩვენებელი შეადგენდა 4.27 log₁₀ IU/ml (პაციენტი 3) და 4.14 log₁₀ IU/ml (პაციენტი 4) შესაბამისად. მე-3 და მე-4 პაციენტში ვირუსული დატვირთვის პიკი მე-4 კვირაზე იქნა მიღწეული, 6.14 log₁₀ IU/ml და 5.87 log₁₀ IU/ml (დიაგრამა №14). ქრონიკული ინფექციით პაციენტებში აღინიშნა ვირუსული დატვირთვის შედარებით ნელი ზრადა, მატების პიკური მედიანური მაჩვენებლით 6.10 log₁₀ IU/ml, რომელიც მე-8 კვირაზე დაფიქსირდა (დიაგრამა №15). ქრონიკული


ინფექციის მქონე ცხრავე პაციენტს, დაკვირვების მთელი პერიოდის განმავლობაში სულ ცოტა 6 log₁₀ IU/ml ვირუსული დატვირთვის მაჩვენებელი დაუფიქსირდა.

(დიაგრამა №14) ვირუსული დატვირთვის დინამიკა გამოჯანმრთელებულებში (n=4)



* დაშტრიხული ხაზი გამოსახავს დეტექციის ლიმიტის ქვედა ზღვარს

(დიაგრამა №15) HCV ვირუსული დატვირთვის დინამიკა ქრონიკული ინფექციით პაციენტებში



* დაშტრიხული ხაზი გამოსახავს დეტექციის ლიმიტის ქვედა ზღვარს

კვლევა 2 შედეგები:

მწვავე HCV ინფექციის გამოსავლენად ჯამში გამოვიკვლიეთ 451 აივ ინფიცირებული უარყოფითი anti HCV-ით, რომელთაგან 129 იყო MSM და 322 IDUs. მათ შორის 26 პირს: 17 MSM-ს და 9 IDUs-ს განესაზღვრათ HCV რნმ, რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ ამ პირებს აქვთ მწვავე HCV ინფექცია.

მწვავე HCV ინფექციით ინფიცირებული 26 პაციენტის ბაზისური მახასიათებლები მოყვანილია ცხრილი №5-ში.

(ცხრილი №5) მწვავე HCV ინფიცირებული პაციენტების ბაზისური მონაცემები (n=26)

	საერთო რაოდენობა (n=26)	სპონტანურად განკურნებულები (n=7)	პაციენტები ქრონიკული ინფექციით (n=19)
ასაკი, საშუალო ასაკი (დიაპაზონი)	32 (22-42)	29 (22-35)	34 (25-42)
HCV-ს გადაცემის საგარაუდო გზა, n (%)			
IDUs	9	2 (22.2)	7 (77.8)
MSM	17	5 (29.4)	12 (70.6)
HCV გენოტიპი, n (%)			
გენოტიპი 1b	10	2 (20.0)	8 (80.0)
გენოტიპი 2a/2c	7	2 (28.6)	5 (71.4)
გენოტიპი 3a	9	3 (33.3)	6 (66.7)
rs12979860			
C/C(%)	7	5 (71.4)	2 (28.6)
C/T(%)	9	2 (22.2)	7 (77.8)
T/T(%)	10	0 (00.0)	10 (100.0)

საკვლევად შერჩეული ჯგუფების სპეციფიკის გათვალისწინებით (MSM და IDUs), მწვავე HCV ინფექციით ინფიცირებულთა აბსოლუტური უმრავლესობა მამაკაცია (99.9%), რომელთა საშუალო ასაკი 32 წელია. მათგან 9 პაციენტის

ინფიცირების წყარო არის ნარკოტიკების ინექციურად მოხმარება (34,6%), 17 პაციენტი დაინფიცირდა სქესობრივი გზით (65,4%). მწვავე HCV ინფექციით ინფიცირებულთა 38.5%-ს აქვს HCV 1 გენეტიკური ტიპი. პაციენტთა 26,9%-ს აქვს მე-2 გენოტიპი და 34.6%-ს მე-3 გენოტიპი. 36 კვირიანი დაკვირვების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თვითგანკურნება მოხდა ამ 26 პაციენტიდან 7-ში(26.9%), დარჩენილ 19(73.1%) პაციენტს განუვითარდა ქრონიკული C ჰეპატიტი. HCV გენეტიკური ტიპების მიხედვით ვირუსის კლირენსი შემდეგნაირად გადანაწილდა: ათი 1b გენოტიპიანი პაციენტიდან ელიმინაცია მოხდა ორ პაციენტში – 20%. შვიდ 2a/2c პაციენტში თვითგანკურნა ორი პაციენტი – 28.6%. ცხრა 3a გენოტიპიანი პაციენტიდან ვირუსის თვითგანწმენდა მოხდა 33.3%-ში. ზემოთ მოყვანილი შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ არცერთ გენოტიპს არ ქონდა გამოსატული უპირატესობა HCV-საგან სპონტანურ გამოჯამრთელებაში.

მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ჩვენი კვლევის პროცესში ვირუსისაგან კლირენსი ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა არა გამოვლენიდან 6 თვის პერიოდში, არამედ დაკვირვების 27-ე კვირაზე.

რაც შეეხება მასპინძლის გენეტიკურ ფაქტორს, II28b C/C გენოტიპიანი შვიდი პაციენტიდან განიკურნა ხუთი – 71.4 %, C/T გენოტიპიანი 9 პირიდან კლირენსი მოხდა ორში-22.2% და T/T გენოტიპით პაციენტებიდან ყველას განუვითარდათ ქრონიკული C ჰეპატიტი.

კვლევა 3 შედეგები:

ოკულტური C ჰეპატიტის გამოსავლენად სულ გამოვიკვლიეთ 161 აივ ინფიცირებული პირი, რომლებიც 3 ჯგუფად იყო დაყოფილი: ჯგუფი 1 – აივ-ით ინფიცირებული პაციენტები ღვიძლის დაავადებების გარეშე (n = 98), ჯგუფი 2 – უცნობი ეტიოლოგიის ღვიძლის დაავადებების მქონე აივ ინფიცირებული პირები (n = 34), ჯგუფი 3 – HIV/HBV კო-ინფიცირებული პაციენტები (n = 29).

გამოკვლეული პაციენტებიდან 15-ს განესაზღვრა HCV რნმ-ი პერიფერიული სისხლის მონონუკლეარებში. ჯგუფების მიხედვით შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: ჯგუფ 1-ში 2 შემთხვევაში (2%), ჯგუფ 2-ში 4 შემთხვევაში (12%) და ჯგუფ 3-ში 9 შემთხვევაში (31%).

გამოვლენილი 15 OCI-დან HCV გენოტიპი განისაზღვრა 13 პაციენტში, C ჰეპატიტის გენოტიპების შემდეგი განაწილებით: 6 (46%) – 1b გენოტიპი. 3 (23%) – 2a/2c გენოტიპი და 5 (38%) – 3a გენოტიპი. ორ ნიმუშში გენოტიპი ვერ განისაზღვრა, C ჰეპატიტის ვირუსის უკიდურესად დაბალი ვირუსული დათვირთვის გამო.

ღვიძლის ფიბროზის ხარისხი განსაზღვრა მოხდა 152 პაციენტში. დარჩენილ ცხრა პაციენტში წონის გამო ვერ მოხერხდა ფიბროზის განსაზღვრა. ზემოაღნიშნული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პაციენტებს რომელთაც არ აღმოაჩნდათ ოკულტური C ჰეპატიტი ფიბროზის ხარისხის საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა F1-ს, მაშინ როდესაც OCI პოზიტიურ პაციენტებში ფიბროზის ხარისხი იყო F2 ან მეტი.

ცხრილი № 6. პაციენტების მაჩვენებლების შედარება OCI-ით და OCI-ის გარეშე.


კატეგორია	PBMCs-ში	
	HCV რნმ-ზე გამოკვლევის შედეგები (+) დადებითი	(-) უარყოფითი
პაც. რაოდენობა (ჯამი)	15	146
ღვიძლის დაავადების გარეშე (ჯგუფი 1)	2	96
კრიპტოგენული ღვიძლის დაავადებით (ჯგუფი 2)	4	30
HIV/IBV კო-ინფიცირებულები (ჯგუფი 3)	9	20
სქესი, მამაკაცი/ქალი	12/3	91/55
ასაკი, საშუალო, წელი	48 ± 11	50 ± 12
BMI, საშუალო	27.1 ± 4	26.3 ± 3
ღვიძლის დაზიანების ხარისხი (kPa)	≥ F2 (8.1-9.5)	F1 (6.8-7.5)

კვლევა 4 შედეგები:

სულ კვლევაში ჩართული იყო 5 ჯგუფად დაყოფილი 178 პირი (ცხრილი №7), რომელთა საშუალო ასაკია 38 ± 8 წელი, სხეულის მასის ინდექსი 25.6 ± 4 kg/m².


კვლევის მონაწილეების HCV ვირუსული დატვირთვის საწყისი მედიანური სიდიდე იყო 900,000 Iu/ml (35,000 – 4,000,000). შრატის IP-10-ის საწყისი მედიანური სიდიდე კო-ინფიცირებულებში (380 ± 320 pg/ml) და მონოინფიცირებულებში (395 ± 310 pg/ml) მეტ-ნაკლებად ერთნაირი იყო, ხოლო საკონტროლო-ჯანმრთელების ჯგუფში (95 ± 90 pg/ml) მნიშვნელოვანწილად დაბალი (დიაგრამა №16). მკურნალობაზე მყოფი 142 პაციენტიდან SVR მიღწეული იქნა 58%-ში (82/142), აქედან G1 პაციენტებში 48% (35/73)-ში, ხოლო G2-3 პაციენტებში 68% (47/69)-ში. იმ პაციენტებს რომლებიც იყვნენ HAART-ზე, შრატის IP-10-ის დონე ქონდათ უფრო დაბალი, ვიდრე არა HAART-ზე მყოფ პაციენტებს (330 ± 110 pg/ml vs 650 ± 80 pg/ml). ხოლო იმ პაციენტებს, რომელთაც ქონდათ შედეგიანი HAART მკურნალობა (HIV რნმ არა-განსაზღვრადი) ქონდათ მნიშვნელოვანწილად დაბალი IP-10-ის დონე, ვიდრე განსაზღვრად HIV რნმ-იან პაციენტებს (325 ± 120 pg/ml vs 480 ± 130 pg/ml).

(დიაგრამა №16)



ჩვენი კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ მკურნალობაზე მყოფი 142 პაციენტიდან, იმ 60 პაციენტში, სადაც ვერ იქნა მიღწეული SVR, IP-10-ის დონე შრატში იყო უფრო მაღალი, ვიდრე იმ 82 პაციენტში, სადაც მიღწეული იქნა SVR (n=60, 500 ± 300pg/ml vs n=82, 290 ± 100pg/ml) (დიაგრამა №17). რელაფსერების ჯგუფის შიგნით (n=60) ანალიზმა ცხადყო, რომ უშუალოდ არამოპასუხეებსა (NR) (n=34) და რელაფერებს (REL) (n=26) შორის IP-10-ის დონის მხრივ რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება არ იკვეთება (n=34, 480 ± 180pg/ml vs n=26, 500 ± 190pg/ml).

(დიაგრამა №17)




ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ პაციენტებს რომელთაც ქონდათ ფიბროზის დაბალი ხარისხი და ALT-ს დაბალი დონე შრატის IP-10-ის დონეც მნიშვნელოვანწილად დაბალი ქონდათ, მაღალი ფიბროზით და მაღალი ALT-ით პაციენტებთან შედარებით (დიაგრამა №18). ასევე გამოვლინდა ვირუსულ დატვირთვასთან ასოცირებული კანონზომიერება: პაციენტებს, რომელთაც ქონდათ მაღალი HCV ვირუსული დატვირთვა (>10+E6Iu/ml; n=68) IP-10-ის დონე შრატში ქონდათ უფრო მაღალი, ვიდრე დაბალი ვირუსული დატვირთვით პაციენტებს (<10+E6Iu/ml; n=74; 440 ± 90pg/ml vs 320 ± 110pg/ml) (დიაგრამა №18).

Ip-10-ისათვის გამოვიანგარიშეთ ის ზღვრული მაჩვენებელი, რომელიც არის SVR-ის პრედიქტორი, ამ მაჩვენებელის საშუალო სიდიდე (cutoff) განისაზღვრა 400

pg/ml-ით (დიაგრამა №17). კატოვის ამ მნიშვნელობის (400pg/ml) გამოყენებით დაახლოებით 91%-იანი სიზუსტით შეიძლება ვივარაუდოთ მოხდება თუ არა ვირუსისაგან ელიმინაცია, თუ მივიღებთ რელაფსს.

(დიაგრამა №18.)



SVR-თან ასოცირებული პარამეტრების უნივარიაციული და მულტივარიაციული კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ მკურნალობის დაწყებამდე მიღებული პარამეტრებიდან მხოლოდ HCV ვირუსული დატვირთვის საწყისი მაჩვენებელი და Ip-10-ის კონცენტრაცია სისხლში არის კორელაციაში SVR-თან. ამ ორ მაჩვენებელს შორის, Ip-10 არის უფრო მძლავრი მკურნალობის გამოსავლის პრედიქტორი.

ცხრილი 2 ასახავს ჩვენს მიერ შესწავლილი პარამეტრების ღირებულებას, მკურნალობის გამოსავალთან მიმართებაში.

მკურნალობის დაწყებამდე მიღებული ყველა პარამეტრიდან IL28B-ის მერე, შრატის Ip-10-ის დონე არის ყველაზე ძლიერი მკურნალობის გამოსავლის პრედიქტორი, რომლის მგრძობელობაა 91% და სპეციფიურობაა 85%.

ცხრილი № 7. მკურნალობის გამოსავალთან ასცირებული ფაქტორები

ფაქტორი	HCV მონონფიც			HIV/HCV კო-ინფიც.		
	მკურ. გამოსავალი			მკურ. გამოსავალი		
	SVR	NR ან REL		SVR	NR ან REL	
პაც. რაოდენობა ,n	48	18	19	34	16	7
სქესი						
მამაკაცი	33	16	16	24	13	4
ქალი	15	2	3	10	3	3
ასაკი, საშ., წელი	34±2	42±3	43±4	36±3	48±2	48±3
BMI, საშ. kg/m ²	24,6	25,2	25,4	26,0	25,0	26,7
საშ. HCV RNA 10E3Iu/ml	33,000	98,000	78,000	36,000	97,000	94,000
HCV RNA<10E6Iu/ml,n	42	3	3	24	2	1
HCV RNA>10E6Iu/ml,n	6	15	16	10	14	6
გენოტიპი						
